საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა, 24 ოქტომბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 400 მანეთი ნახევარ განცხადება არ დაიბეჭდება რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 242 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 242

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

ნავთლუღის უბნის სახალხო გვარდიის შტაბი და ამავე შტაბის გვარდიელები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ, ამხანაგებს და მეგობრებს ტრაგიკულ გარდაცვალებას ძვირფას და დაუვიწყარ ამხანაგის ამავე შტაბის გვარდიელის

რაჟდენ (რაჟიკო) ხაჩეიშვილის

ცხედარს წაასვენებენ 24 ამა ოქტომბერს, გურიაში ს. ციხეში. (3436 1—1)

ნავთლუღის საქონლის სადგურის მუშები მწუხარებით აცნობებენ ამხანაგებს და ნაცნობ მეგობრებს, რომ 22 ოქტ. ტრაგიკულად გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი ამხანაგი

რაჟიკო დავითის ძე ხაჩეიშვილი

წასვენება მოხდება 24 ოქტ. სოფელ ციხეში (გურია). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (3436 1—1)

მწუხარებაში მყოფნი ქმარი დათიკო, დები აკვილინა ცინცაძისა, ელენა ებრალიძისა, ნინა ჩიხლაძისა, ძმები ლუკა, ნესტორი და დიმიტრი ებრალიძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს, რომ კვირას, 24 ოქტომბერს გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა დიდუბის ეკლესიაში დილის 10 საათზე, მათთვის დაუვიწყარი

თეოდინა სიმ.-ასული ებრალიძე მახარაძისა

(3435 1—1)

გენერალური შტაბის მსახურნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 24 ოქტომბერს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი გარდაცვალებულის დიდათ პატივცემულის ამხანაგის და თანამსახურის კაპიტან

გიორგი ნიკოლოზის ძე საღარეიშვილის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება წირვის გათავების შემდეგ. (3433 1—1)

ღრმად დაწუხრებულნი—დედა მელანია პეტრეს ასული, ძმები პავლე, რომანი, დავითი და ნიკოლოზ მიხეილის ძენი კურდღელაშვილები, დები: ევა მიხეილის ასული ფიცხელაურისა, მარიამ მიხეილის ასული კოლიევისა და სიძეები ნიკოლოზ ფიცხელაური და ვალენტინი კოლიევი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ანნა მიხეილის ასული უშვერიძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ოქტომბრის 22, ნაშუადღევის 4 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე, დილის 11 საათ. და საღამოს 6 საათზე. ბაქოს ქუჩა № 12, საკუთარ სახლში. (3434 1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

კვირას, ოქტომბრის 24-ს

საღამოთი, წარმოდგენა მუშებისათვის

„გუშინდელნი“

შალვა დადიანისა.

ხუთშაბათს, ოქტომბრის 28-ს

„დარისპანის გასაჭირი“ და **„ირინეს ბედნიერება“**

ახალი დეკორაციებით, კოსტიუმებით და მეზან სცენებით.

ბილეთები კასაში. დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე. (ნ. 1—1)

ბათომის ქალაქის თვითმართველობა

სამსახურში იწვევს სამი უბნის

მომრიგებელ მოსამართლეს

თხოვნები და საბუთები უნდა გამოიგზავნოს გამგეობის სახელზე. მოსამართლეებს საბჭო ირჩევს. (ნ. 3—1)

თფილისის მთავრობის კომერციული

სასწავლებელი ამით აცხადებს, რომ გაერთიანებულ (ქართულ) მე-V მე-VI კლასებში არის თავისუფალი ადგილები მოწაფეთათვის, თხოვნების მიღება გრძელდება. სასწავლებლის მისამართი: ჩუღურეთი, 19 თებერვლის ქუჩა, № 2. (3287 7—7)

საქართველოს კოოპერატიული ბანკის მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა

თანახმად ბანკის დამფუძნებელ კრების (15 მარტი 1920 წ.) დადგენილებისა და ფინანსთა სამინისტროს სათანადო ნებართვისა საქართველოს კოოპერატიული ბანკი ადიდებს ძირითად თანხას 5 000 000 მანეთიდან—15 000.000 მანეთამდე; ამ ჟამათ გამოცემული იქნება 10.000 აქცია, თითო 1.000 მანეთის ნომინალური ღირებულებისა, შემდეგი პირობებით:

1. აქციებზე ხელის მოწერის უფლება აქვთ მხოლოდ კოოპერატიულ დაწესებულებებს (მომხმარებელ, საწარმოვო, სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერატივებს და მათ კავშირებს).
2. გამოსაცემი ფასი ამ აქციებისა დანიშნულია 1.050 მანეთი თითო აქციაზე, რომელი თანხაც შეიძლება გადახდილი იქნას ნაწილ ნაწილადაც: 30 % ნომინალურ ღირებულებისა—მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე; 30 % ნომინალურ ღირებულებისა—მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე, ხოლო დანარჩენი 40 % ამავე წლის პირველ დეკემბრამდე.
3. აქციების გამოსაცემ ფასიდან 1.000 მანეთი ჩაირიცხება ძირითად თანხაში და ორმოცდა ათი მანეთიც საორგანიზაციო ხარჯების ფონდში.
4. აქციებზე ხელის მოწერა შეიძლება სარაიონო კოოპერატივთა კავშირებშიდაც აქციათა ღირებულების დაწესებულ ვადებში წარდგენით.
5. ის დაწესებულებანი, რომლებიც არ შეასრულებენ მე 2-ე მუხლში აღნუსხულ პირობებს აქციათა ღირებულების განსაზღვრულ ვადაზე შემოტანის შესახებ, ჰკარგავენ უფლებას მეორე გამოცემის აქციათა შეძენისას.

(ნ. 10—10) საქართველოს კოოპერატიული ბანკი.

სახელმწ. თეატრი.

ოპერა.

24 ოქტომბერს

გოფმანის ზღაპრები

25 ოქტ. სევილიელი დალაქი. 26 ოქტ. კარმენი, 27 ოქტ. აბესალომ და ეთერი. 28. ოქტ. მეფის საცოლე. დასაწყისი სრულ 8 საათ. საღ. ოპერის დირიჟორი ს. ი. ევლახიშვილი. (ნ. 1—1)

ფოთის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს რა, რომ ფოთში აღარ არის

წიგნების აკინძავის

(პერეპლიოტჩიკის) სახელოსნო, მოუწოდებს მსურველთ გაალოს ასეთი სახელოსნოები. შეიძლება რამოდენიმე დახმარება ავანსის სახით. (კუპ. 951—3—2)

შრომის ბეგარა

მრავალ ზომათა შორის, რომლებიც წამოყენებულია ჩვენის რესპუბლიკის მწვავე ეკონომიური კრიზისის გასანელებლათ, ყურადღებას იპყრობს შრომის ბეგარის შემოღება. შრომის სამინისტროს უკვე შეუდგენია შრომის ბეგარის პროექტი. ეს პროექტი ამ დღეებში დაწვრილებით განიხილეს პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, რომელმაც ერთხმად უარჰყო შრომის სამინისტროს მიერ განზრახული **საყოველთაო** ხასიათი შრომის ბეგარისა.

ჩვენ ვფიქრობთ, ამ საკითხის გარშემო ატეხილ დავაში სწორ გზაზე დგას პროფ. კავშირთა აღმასრულებელი კომიტეტი და შემცდარია შრომის სამინისტრო. ამ უკანასკნელის პროექტით განზრახულია „საყოველთაო შრომის ბეგარა“, რომელიც უნდა გავრცელდეს „საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მამა-კაცებზე 18-დან 60 წლამდე და დედა-კაცებზე 18-დან 50 წლამდე“. შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი რომ დაკანონდეს, სახელმწიფოს დასჭირდება დიდი მუშაობის გაწევა იმ პირთა სიების შესადგენათ, რომლებზედაც ეს კანონი ვრცელდება. ამისათვის აუცილებელი იქნება ისეთი სტატისტიკა, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა ჯერ კიდევ მრავალი წლების განმავლობაში ვერ მიაღწევს. და მთელი ამ სამუშაოს გაწევა—სტატისტიკის წარმოება, სიების შედგენა—ამ საქმეს მაინც ვერაფერს უშველის, და კანონი ცარიელ ქაღალდზე დარჩება, რადგან ჩვენ არა გვაქვს თუნდაც ერთი მეათედი საწარმოო დაწესებულებათა, რომლებშიაც შესაძლებელი იქნება შრომის ბეგარის ვალდებულ პირთა ძალების გამოყენება. მაშასადამე, თუნდაც რესპუბლიკა ამ დიდს შრომას მოერიოს, სიები უნდა შესდგეს იმისთვის, რომ სახელმწიფომ ისინი ვერაფერში გამოიყენოს.

პროფ. კავშირების საბჭომ ამ საკითხის გარჩევის დროს, რა თქმა უნდა, უყურადღებოთ ვერ დასტოვა ის ექსპერიმენტი, რომელიც ამ უკანასკნელ წელში გააკეთეს საბჭოთა რუსეთში შრომის ბეგარის შემოღების საქმეში. მართლაც, რომ დიდათ საყურადღებოა ეს ცდა. თვით საბჭოთა რუსეთის მესვეურთ არა ერთხელ აღიარეს, რომ მათ მიერ შემოღებული შრომის საყოველთაო ბეგარის გატარება მარცხით გათავდა და მან სრულიადაც ვერ გაამართლა ის იმედები, რომლებსაც ამ ზომის ავტორები ამყარებდნენ მასზე. ეს მარცხი თავიდანვე ცხადი უნდა ყოფილიყო: რა დიდი აზრი უნდა იმ ჰეშმარიტებას, რომ ჯერ უნდა გასაკეთებელი საქმე მოაწყო, შემდეგ მომუშავენი მოაგროვო? საბჭოთა რუსეთში კი ჯერ მომუშავეებს აგროვებდნენ და შემდეგ ფიქრობდნენ, რა გავაკეთებინოთ მათო.

ამ ზომის რამდენათმე ზედმიწევნით განხორციელება მოითხოვს ბევრათ უფრო მოწესრიგებულს და სწორად მომქმედს სახელმწიფო აპარატს, ვიდრე ჩვენი რესპუბლიკა და ვიდრე საბჭოთა რუსეთია; იგი მოითხოვს ბევრათ უფრო მაღალ დონეზე აყვანილს წარმოებას, ვიდრე ჩვენი და საბჭოთა რუსეთის წარმოებაა.

იგი მოითხოვს მსხვილი წარმოების სკოლაში გაწვრთნილი მუშათა ბევრათ უფრო დიდს რიცხვს, ვიდრე ეს მოეპოვება ჩვენს ქვეყანას და ან „სოვდეპიას“, მათს ბევრათ უფრო მაღალს ფსიხოლოგიურს მომზადებას საზოგადოებრივი მუშაობისათვის. უამისოდ საყოველთაო შრომის ბეგარა გამოიწვევს ცარიელ ხარჯებს, რომლების სულ მცირედს ნაწილსაც ვერ აინაზღაურებს სახელმწიფო მის მიერ მოტანილ სარგებლობიდან. მაშასადამე ჩვენს პირობებში ამ ზომის გატარება სახელმწიფოს მდგომარეობას კი არ გამოასწორებდა, არამედ კიდევ უფრო გააწვავებდა.

ამნაირად შრომის ბეგარა მიუღებელია მისი **საყოველთაო** ფორმით. ეს არ ნიშნავს, რომ მისი ნაწილობრივი გატარებაც უარსაყოფია. პროფ. კავშირების აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე სამართლიანად მიაქციეს ყურადღება „ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ პარაზიტულს ელემენტებს“. მართლაც და ამ პარაზიტების, უსაქმოდ მოხეტიალე, მცონარე ხალხის რიცხვი ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტია, ვიდრე, შეიძლება, სხვა მეზობელ სახელმწიფოებში. გარდა ჩვენი „საკუთარი“ პარაზიტებისა, ჩვენს ქვეყანას მრავლად აფარებენ თავს ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან გამოქცეულნი რომლებიც, რა თქმა უნდა, უფრო ქალაქს ეტანებიან და ამ საშინელ კრიზისში მას მძიმე ტვირთად აწვებიან როგორც პამ-სპის, ისე ბინების მხრივ ჩვენი ქვეყნის შედარებითმა სიწყნარემ, შეუძლებელია არ მოიზიდოს უცხო ხალხი იმ ქვეყნებიდან, სადაც ცხოვრება ბევრად უფრო არევ-დარეულია. და თუ ჩვენმა სახელმწიფომ ზომები არ მიიღო მათ შემოსვლის წინააღმდეგ და შემოსულთა აქედან გასასახლებლად, ჩვენი ქალაქის მდგომარეობა თანდათან გართულდება და კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდება. ერთიამ ზომათაგანი, და შეიძლება საუკეთესოც, იქნება შრომის ბეგარა. ჩვენს ქვეყანაში შემომსვლელმა უცხო ხალხმა უნდა იცოდეს, რომ მათ აქ ნებას არავინ მისცემს საბჭოთა რუსეთიდან და ვრანგელის სამფლობელოდან შემოპარული ბრილიანტები ჰყიდოს და აღებული ფულით კლუბებში და შანტანებში იქეიფოს ან სპეკულიაცია გააჩაღოს. მათ გათვალისწინებული უნდა ჰქონდეთ, რომ შემოსვლა ჩვენს ქვეყანაში შეიძლება მხოლოდ ერთი პირობით: თუ შემოსული იმუშავებს და ჩვენს სახელმწიფოს შეუქმნის რაიმე ღირებულებას, თუ ეს ზომა სათანადოთ გატარდა, იგი ერთს სარგებლობას მაინც აუცილებლათ მოგვიტანს: ჩვენს რესპუბლიკაში შეამცირებს იმ ხალხის რიცხვს, რომლებსაც არავითარი მუშაობის და ღირებულების შექმნის უნარი არა აქვთ.

თანამედროვე კითხვები.

XVII

„საქართველო“ და „Комунистъ“-ი.

დიდი ხმაურობაა პრესაში ჩვენი ეკონომიური თათბირის გარშემო. მოწინააღმდეგეებმა იგრძნეს რაღაცა მოსაგები და გათამამებულათ წამოყვეს თავები. „საქართველო“ თავს აღარ იზოგავს, უფრო ყვირის, ვიდრე ხმა შესწევს. რუსული „კომუნისტი“ სწორეთ იმ დროს გამოვიდა, როცა თითონ ჩვენი რესპუბლიკის მეთაურმა გამოაცხადა,—აქამდის მივდიოდით კატასტროფამდის, ახლა კი მისული ვართო.

მარჯვენა და მარცხენა ბანაკსაც ეს აღსარება იმედს უღვიძებს. ორივე მხრიდან ოცნებობენ თავთავიანთი დიქტატურის შესახებ. „საქართველო“ სწერდა ამ დღეებში,—მენშევიკებმა უნდა აირჩიონ ან ევროპიული—ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გზა, ან ბოლშევიკურის. „Комунистъ“-ი ამბობდა გუშინწინ,—ან კაპიტალიზმი ან სოციალიზმი, მეტი გზა არ არისო.

ასეთია ეს ორი ბოლშევიზმი. არც ერთს არ სწამს სახელმწიფო, არც ერთს არ აქვს სახელმწიფოებრივი აზროვნობა. ისინი ვიწრო კლასობრივ, უკეთ ვსთქვათ ჯგუფური ინტერესების ნიადაგზე დგას, ესეც. ის ფიქრობს ბურჟუაზია უნდა გამეფდესო, ეს „მუშა-გლეხობის“ დიქტატურას გვაწვდის.

უმცირესობაა ბურჟუაზია საქართველოში, კიდევ უარეს უმცირესობას წარმოადგენს ბოლშევიკური პარტია. ბოლშევიკებიც და „საქართველო“-ელებიც მომხრე არიან უმცირესობის გაბატონების და უმრავლესობის დამორჩილების. არც ერთი მხარე კი არ ფიქრობს, და იძლევა თუ არა ამ გზით ეკონომიური კრიზისი. ხალხის გაჭირვებას ისინი იყენებენ პარტიული ინტერესებისთვის.

„საქართველო“ თუ კარგათ გვიცნობს, ეცოდინება, რომ ჩვენ—„შუა გზით“ მიმავალებს არ გვეჩქარება სოციალიზმი. გვგვიგება, რომ სიჩქარით არ გაკეთდება ეს დიდი საქმე. ჯერ კაპიტალიზმი არსებობს არა მარტო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ის კარგათ გრძნობს „სოციალისტურ“ რუსეთშიაც, ის არსებობს აქაც, ამ დემოკრატიულ სახელმწიფოში. კლასობრივი სხვადასხვაობა, უზომო სიმდიდრე საზოგადოების ერთ ნაპირზე, უზომო სიღარიბე მეორეზე,—ეს წინააღმდეგობა, იქნება, არას დროს არ ყოფილა ისე მწვავეთ, როგორც დღეს არის ყველგან.

საშინელი და იმავე დროს საუცხოო გაკვეთილია ჩვენთვის თანამედროვე სინამდვილე. ის გვიმტკიცებს, რომ პოლიტიკა ვერ მოერევა ეკონომიკას, თუ თითონ ეკონომიკა არ იძლევა ჯერ თავის გარდასაქმნელ პირობებს. ჩვენი, მენშევიკური პოლიტიკის მიზანია სწორეთ ამ პირობების მზადება. ამითი გავირჩევით ჩვენ „საქართველოსგან“, რომელიც ქადაგებს ძველი ეკონომიური საძირკვლის ხელშეუხებლობას, ამითივე გავირჩევით ბოლშევიკებისგან, რომლებსაც სოციალიზმი გამოაქვთ ბრძანებებისგან.

მსოფლიო ომამდის კაპიტალისტურმა ძალებმა შექმნეს აურაცხელი სიმდიდრე. ამ სიმდიდრისაგან უნდა ყოფილიყო დამოკიდებული ეკონომიური კრიზისი, საიდანაც დაიწყებოდა სოციალისტური რევოლიუცია. მსოფლიო ომის შემდეგ კი სიღატაკისგან იწყება ეკონომიური კრიზისი. მანამდის სოციალიზმის საშუალებით ვფიქრობდით დაგროვილი სიმდიდრის სხვანაირათ ამუშავებას და გამოყენებას, ახლა უნდა ვიფიქროთ დაკარგულ-დანგრეულის ხელ-ახლა მოგროვებაზე. ახლა თავიდან უნდა დავიწყოთ და ვაშენოთ ჯერ ის, რაც აშენებული იყო კაპიტალისტური ძალების საშუალებით. მაშინ კაპიტალიზმის ნაკეთებს ვილებდით ხელში, ახლა ისევ უნდა შევუწყოთ მისი ნაკეთების, მაგრამ ომისგან განადგურებულის ფეხზე წამოყენებას.

ამ კეთებაში, ამ წარმოებაში სოციალიზმი ებრძვის კაპიტალიზმს, მეტოქეობას უწევს. არ არის საჭირო იმის დამალვა, რომ სოციალისტური წარმოება ვერ ერევა კაპიტალისტურს. საბჭოთა რუსეთმა დაგვანახვა მაგალითი. სულ უბრალო, მოიჩხილ კერძო საწარმოო დაწესებულებაში უფრო ნაყოფიერი იქნება შრომა, ვიდრე ყველა კომუნისტურ ფაბრიკა-ქარხანა-სახელოსნოებში. საზღვარგარეთაც ბევრგან მეტ ნაყოფს იძლევა კერძო თაოსნობა, ვიდრე საზოგადოების ხელში ბლებული დარგი.

ჩვენ არ გვიკვირს ეს. ბურჟუაზიას აქვს კაპიტალი, გავლილი აქვს ხანგრძლივი სკოლა, ჰყავს გამოცდილი, მცოდნე, წარმოების საქმეში გაწვრთნილი პირები. ბოლშევიკებმა სინჯეს ამ მემკვიდრეობის უკუგდება და დარჩნენ ხელცარიელი. ლენინმა მერე, მწარე გამოცდილების შემდეგ დაუძახა ბურჟუაზიულ სპეციალისტებს. ის, დიდი ხანია, მზათ არის, რომ ერთ პიროვნული გამგეობა შემოიღოს ყველა საწარმოო დაწესებულებებში და ამას უსიტყვოთ დაუმორჩილოს მშრომელი ხალხი. კანონმდებლობაში, დეკრეტებში უარყოფილი კერძო თაოსნობა ლენინის მთავრობას შემოაქვს სინამდვილეში—ამაზეა გამოჭრილი ერთი რუსული თქმულება,—ბურჟუაზიას კარებიდან გააგდებ, მაგრამ ფანჯრიდან შემოგეპარებაო.

არ კმარა კაპიტალიზმის დასამარცხებლათ მარტო სამოქალაქო ომი. ჩვენ, „შუაგზელები“ ვფიქრობთ, რომ სასიკვდილოთ დაჭრილი კაპიტალიზმი უნდა გამომთელდეს, ისევ უნდა დაიკავოს ადგილი წარმოებაში. ის უფრო მომამზადებს ნიადაგს სოციალიზმისთვის, ვიდრე „კომუნისტ“—„Комунистъ“-ის სოციალისტური რევოლუცია.

ამ მხრივ ჩვენ უფრო ახლოს ვდგავართ „ევროპიულთან“. და უფრო შორს ვართ „ბოლშევიკურისგან“ მაგრამ არ ვიცით, როგორ და რომელი კუთხიდან ეპოტინება „საქართველო“ ევროპიულ გზას. ვიცნობდით კაპიტალისტურ ევროპას ომამდის, ვიცნობდით ომის დროს და ვიცნობთ ახლა, ომის შემდეგ. პირველათ კერძო საკუთრება იყო „წმინდა“ და მიუკარებელი, სახელმწიფო ხელს არ ახლებდა, მესაკუთრე სრული ბატონი იყო თავისი სრული მოგების. ეს „ოქროს ხანა“ თან წაიღო ომის ქარიშხალმა. ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმაც შეიხედეს კერძო მესაკუთრების წმინდათა-წმინდაში, მოინდომეს ცეცხლის გამძლე ყუთებში ჩახედვა და გადასახადი შეაწერეს შენახულ მოგებას. მოინდომეს იმავე სახელმწიფოებმა წარმოების მოწესრიგება, გაერთიანება, შეთანხმება. წავიდა, აღარ დაბრუნდა ლიბერალიზმის დრო, ის დრო, როცა ყველა თავთავისთვის აკეთებდა, ვისაც რა უნდოდა, როცა სახელმწიფო არ ერეოდა ეკონომიურ პოლიტიკაში, როცა ის თავის პოლიტიკას სავალდებულოთ არ ხდიდა კერძო კაპიტალისტებისთვის.

დღეს ანარქიას, კერძოობას ბოლო ეღება თანდათან და ყოველი განაპირა ხაზი ემორჩილება შუაგულ წერტილს. დღეს ბურჟუაზიული სახელმწიფოც საზოგადოებრივი ინტერესების კენ იზიდავს კაპიტალისტურ კლასს. ახლა აღარც ამისთანა სახელმწიფოებშია ბურჟუაზიის ძველებური დიქტატურა.

რომელ ევროპას აღიარებს „საქართველო“, საითკენ გვეთიანება? ის არ ილებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც კერძო თაოსნობის და საზოგადოებრივი საქმიანობის შეთანხმებაზეა აგებული. ეს ჩვენი, მენშევიკების პოლიტიკაა. ის ღებს მარტო კერძოს და უარყოფს საზოგადოებრივს. მისი ოცნება რომ გამართლდეს ეკონომიკაში, მარტო კერძო თაოსნობის სარჩულზე რომ მოეწყოს წარმოება, მაშინ პოლიტიკაშიაც მისი წრე, მისი პარტია უნდა გამეფდეს. აქვს თუ არა „საქართველოს“ მხედველობაში ეს აუცილებელი დასკვნა? იტყობა აქვს და მზათ არის კიდეც, რომ ჩამოიხუროს თავზე მონომახის მძიმე ქუდი. მაგრამ სანამ ჩამოიხურავდეს, უნდა დაფიქრდეს, მოუვლის თუ არა ის საქართველოს, დაიცავს თუ არა ის საქართველოს დამოუკიდებლობას... თუ, ადვილად შეეძლება ამ დიდ მემკვიდრეობას და უკმაყოფილო ხალხის ხელში დასაკავებლათ თავზე წამოიჯინს რომელიმე გარეშე სახელმწიფოს?

ჩვენის აზრით ის გამარჯვება, რომელზედაც ოცნებობს „საქართველო“, ბოლშევიკების გამარჯვებით გადაიქცევა. ბოლშევიკები უფრო ადვილათ აიღებენ ჩვენს პატარა გამაგრებულ ციხეს, როცა აქ ვეღარ შეხვდებიან მენშევიკური პარტიის გარშემო დარაზმულ მუშა გლეხობას. სოციალიზმს ვერ შემოიტანენ ამისთანა გამარჯვებით, ვერც ეკონომიურ კრიზისს მოსპობენ, რა თქმა უნდა. მოგვცემენ, რაც თვითონ აქვთ, და ჩვენმა მშრომელმა ხალხმა კარგათ იცის რა აქვს ბოლშევიკურ რუსეთს.

არ გვეიკონება ამიტომ არც „საქართველოს“ და არც „Комунистъ“-ის რჩევას. შევინახავთ საკუთარ სახეს, და განაგრძობთ „შუა გზურ“ პოლიტიკას. ამ პოლიტიკაში ჩვენ არ გამოვდივართ იმ დებულებიდან, რომ სოციალისტურ პრინციპს ბოლო უნდა მიეღოს და ძველი კაპიტალისტური წესწყობილება უნდა დამყარდეს. არც ის გვწამს რომ კაპიტალიზმი უკვე მოსპობილია და ახლავე სოციალიზმი უნდა ავმართოთ. ჩვენ გამოვდივართ იმ დებულებიდან, რომ დღევანდელ ეკონომიურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ კაპიტალიზმი მეფობს და ის ცდილობს პოლიტიკურათაც გამეფებას. ჩვენი მიზანია ვებრძოლოთ იმ ძალაუფლების იარაღით, რომელიც ხელში გვაქვს, გამოვიყენოთ მისი საშენებლო მხარე და მოვიშოროთ მისი დამარღვეველი ძალები. ამნაირი პოლიტიკა ვერ დაეახლოვდება ვერც „საქართველოსას“ და ვერც „Комунистъ“-ისას.

ს. დევდარიანი.

მადლობის წერილი

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

იმის გამო, რომ სწორეთ ჩემი დაბადების დღეს საქართველოში ვიმყოფებოდი,—მე მივიღე იმდენათ ბევრი მისალმებები სიყვარულისა და ნდობის გამოხატვისა, რომ არა მაქვს შეძლება მადლობა გადავუხადო თვითეულს ცალცალკე. თქვენი გაზეთის საშუალებით მე მადლობას უცხადებ ყველას ერთად.

ბათუმში მოსვლის შემდეგ ვიგრძენი, რომ თითქოს მე ვცხოვრობ არა უცხოეთში, არამედ, როგორც პაპა, თავის ღვიძლ შვილების და შვილის-შვილებს შორის. ეს გრძნობა ჩემში ყველაზე უფრო გაძლიერდა 16 ოქტომბერს. მართალია, მე ძალიან მაწუხებს ის გარემოება, რომ არ ვიცი თქვენი ენა და მოკლებული ვარ საშუალებას პირდაპირ გაგიზიაროთ ჩემი აზრები, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ ძალიან კარგათ გვესმის ერთი მეორის და თქვენს მიერ გამოხატულ სიყვარულზე და ნდობაზე მე გიპასუხებთ იმავე სიყვარულითა და იმავე ნდობით.

თუ კი მე პაპათ ვგრძნობ თავს თქვენს შორის,—ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მე მინდოდეს წავიდე დასასვენებლათ და თავი დავანებო მრავალ მუშაობას. თქვენი ჩემდამი კეთილი განწყობილება კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს მე. მთელი ჩემი ძალღონე და ცხოვრება უნდა მოხმარდეს იმ საერთო საქმეს, რომელიც ჩვენ ყველას გვაკავშირებს და გვავსებს ენტუზიაზმით. კერძო პიროვნებები, რომლებსაც თქვენ მიესალმებით, მხოლოდ წარმომადგენელნი არიან ამ დიდი საქმის, რომელსაც პროლეტარიატის განთავისუფლების, ჩაგრულთა და დამცირებულთა განთავისუფლების საქმე ეწოდება.

მე იმედი მაქვს, რომ შევინარჩუნებ საკმაო უნარსა და ძალას, რათა ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიმუშაო ჩვენი საქმის საკეთილდღეოთ და ამით გავამართლო თქვენი ნდობა.

ერთხელ კიდევ გიძღვნით გულითად მადლობას ძვირფას საქართველოში მყოფნო, ამხანაგებო და მეგობრებო!

ძმური სალამით თქვენი კარლ კაუცკი.

მცირე შენიშვნა

გ. ამირეჯიბის წერილის გამო.

„სახ. საქმეში“ № 958 დაბეჭდილი იყო წერილი გ. ამირეჯიბის ბინის თაობაზე.

შემდეგ ნომერში თვით გაზეთმა ამ ინციდენტს ვრცელი შენიშვნა უძღვნა და მთავრობის თავმჯდომარეს სასამართლოს საქმეებში ჩარევა დააბრალა.

დღეს

საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელმა კ. საბახტარაშვილმა საპროტესტო ნოტები გაუგზავნა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და საბერძნეთის მთავრობებს გენ. ვრანგელის შეიარაღებულ ძალთა საქართველოს ტერიტორიაზე თავდასხმის გამო.

მთავრობის დადგენილებით არსდება კომისია შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით და შრომის და იუსტიციის მინისტრების მონაწილეობით შტატების შესამოკლებლათ.

ინგლისში მემაღაროეთა გაფიცვა გრძელდება.

საფრანგეთი ფინანსიური მდგომარეობის გამოსაკეთებლად ხარჯებს ამცირებს და შინაურ სესხს მიმართავს.

გერმანული პრესის ცნობით საფრანგეთი გერმანიიდან მიღებულ ნახშირს ჰყიდის მაღალ ფასებში ნეიტრალურ ქვეყნებზე.

ბოლშევიკების ცნობით პოლონეთმა, მიუხედავად დროებითი ზავისა, ორი წლის მობილიზაცია გამოაცხადა ჯარების შესავსებათ.

ჩვენ შევეკითხეთ ამის შესახებ იუსტიციის მინისტრს და მივიღეთ შემდეგი ცნობები:

ბ-ნ გ. ამირეჯიბს ჰქონდა ანგარიშზე აღებული ბინა რეუტოვის ქ. № 16. 6 სექტემბრის თარიღით საბინაო განყოფილების დადგენილება შეცვალა ქალაქის გამგეობამ და ეს ბინა—ბ-ნ ბიბინეიშვილს მიაკუთვნა. ბ-ნ ამირეჯიბმა ამის გამო მიმართა ქალაქის გამგეობას უსამართლო განჩინების გასაუქმებლად და დაიხმარა იუსტ. მინისტრიც, რომელმაც თავის მხრივ ტელეფონოგრამით მოსთხოვა ქალაქის გამგეობას წინანდელი დადგენილება არ გაეუქმებია და ბინა იმისთვის მიეცა, ვინც ის იშოვნა ე. ი. გ. ამირეჯიბისთვის. ეს იყო 8 სექტემბერს. ბინა ამ დროს უკვე დაცლილი იყო და მისი გასაღები მილიციას ჰქონდა ჩაბარებული. მეორე დღეს ე. ი. 9-ს სექტემბერს გამოირკვა, რომ ბ-ნ გ. ამირეჯიბი შერჩეული გასაღებით, თუ სხვა საშუალებით შესულა უკვე ბინაში, რომელიც მილიციას ებარა და გამოუკრავს ზედ განცხადება: „პროკურ. ამხანაგის კამერაო“.

ასეთი ძალადობით შესვლა ბინაში იუსტიციის მინისტრმა ამავე დღეს დაგმო და წინადადება მისცა პროკ. ამხ. გ. ამირეჯიბს არ ეხმარა სასამართლოს მოღვაწის სახელის გამტეხი, თითქმის კრიმინალური საშუალება, და დაეცალა გამგეობის გადაწყვეტილებისთვის ან, სასამართლოსთვის მიემართა. მიუხედავათ ამისა ბ-ნი ამირეჯიბი დარჩა ბინაში. გამგეობამ ამ ძალადობაზე უპასუხა თავის ახალი დადგენილების დადასტურებით და საქმე სასამართლოში გადავიდა.

მთავრობის თავმჯდომარეს აბრალებენ სასამართლოს საქმეში ჩარევას. არც ეს არის სიმართე.

მთავრობის თავმჯდომარემ მისწერა იუსტიციის მინისტრს მოეყვანა სისრულეში თავის 10 სექტ. განკარგულება ამირეჯიბის მიმართ. მაგრამ იუსტიციის მინისტრმა მიუხედავათ ბ-ნ გ. ამირეჯიბის არამართებული საქციელისა, ვერ სცნო შესაძლებლათ თავის წინადადებაზე დაწოლა, რადგან საქმე სასამართლოში ირჩეოდა და ეს აცნობა მთავრობის თავმჯდომარეს. უკანასკნელისაგან შემდეგ არავითარი განკარგულება არ მოსულია.

აქედან ცხადია, ბ-ნი ამირეჯიბი მალავს ორ ფაქტს: ერთი იმას, რომ ბინაში უკანონო გზით შევიდა, 8 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც იცოდა ქალაქის გამგეობის ახალი დადგენილება, ბ. ბიბინეიშვილის სასარგებლოთ, და იცოდა იუსტ. მინისტრის შუამდგომლობაც. მეორე, მან დამალა ის ფაქტი, რომ მთავრობის თავმჯდომარეს არ ქონია ცნობა საქმის სასამართლოში გადასვლის შესახებ და რომ ამ ცნობის მიღების შემდეგ მას არავითარი განკარგულება არ გაუცია.

მაშასადამე იგი ფაქტების ცალმხრივათ მოთხრობით და ზოგი ერთი მათგანის დამალვით მთავრობის თავმჯდომარეს შესახებ ყალბ შეხედულებას ქმნის...

გვგონია, ამან ბ-ნ გ. ამირეჯიბს არ უნდა ჩაუაროს მუქთად.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

23 ოქტომბერი.

გერმანული ცნობები

სოციალისტებს შორის.

მემარცხენე დამოუკიდებელი სოციალისტები ამას წინად მომხდარ განხეთქილების შემდეგ თათბირობენ ფინანსიური მდგომარეობის შესახებ, ისინი იმ აზრის არიან, რომ პარტიული ფონდი განაწილებულ უნდა იქნეს თითეული ფრთის ძალთა რაოდენობის მიხედვით. რადგან პარტიული ორგანო „ფრაიჰაიტი“ მემარჯვენე ფრთის ხელში რჩება, მემარცხენე დამოუკიდებლებს თავისი ორგანოს დაარსება უჯირთ.

საფრანგეთი გერმანიიდან მიღებულ ნახშირს ჰყიდის.

ამსტერდამის გაზეთი „განდელსბლადი“ იუწყება: საფრანგეთი გერმანიიდან მიღებული ნახშირის ნაწილს მაღალ ფასებში ჰყიდის ნეიტრალურ ქვეყნებზე, რომლებსაც საშუალება არა აქვთ პირდაპირ გერმანიიდან შეიძინონ ნახშირი, მიუხედავათ იმისა, რომ ეს ეწინააღმდეგება სპის ხელშეკრულებას.

სასოფლო მეურნეობა გერმანიაში.

ოფიციალურად იუწყებიან: გერმანიის სასოფლო მეურნეობისათვის გასანოყიერებელი მასალა, რომელიც ომამდე 470 მილიონი ღირდა, ეხლა 5,500 მილიონი ღირს, რომ ომამდე ყოფილ მდგომარეობას მიაღწიოს სასოფლო მეურნეობამ, მას დასჭირდება 450,000 ტონი ფოსფატი. ნამდვილათ კი გერმანიის მრეწველობა იძლევა მხოლოდ 200,000 ტონ ნიტროგენს და 230,000 ტონ ფოსფატს.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

ფრონტზე დამოკიდებული გამარჯვება.

„უწმინდურთა ბანაკში“. „იზვესტია“ მოწინავეში, რომელსაც სათაურად აქვს „უწმინდურთა ბანაკში“, სწერს: „მიუხედავათ დიდი სურვილისა, რომ დაემხოთ სოციალისტური სამშობლო, რეაქციონერებმა ეს ვერ შესძლეს. ვერ შესძლეს იმ შინაურ და საგარეო მდგომარეობის გამო, რომელშიც ისინი იმყოფებიანო“. შემდეგ წერილში განხილულია სათითაოდ თეთრგვარდიელთა სახელმწიფოს მდგომარეობა. აღნიშნულია, რომ გერმანია მიუხედავათ თეთრგვარდიელთა სურვილებისა, იმდენათ აწეწილია თავის შინაურ და საგარეო დამოკიდებულებებში, რომ მას საბჭოთა რუსეთისათვის არა სცალია. ანტანტასთან დამოკიდებულებამ გაამწვავა შიგნით დამოუკიდებელთა მდგომარეობა. დამოუკიდებელთა უმეტეს ნაწილათ კომუნიზმისაკენ გადახრა ნათელი მოწმეა გერმანიის მუშათა მასის მდგომარეობისა. ავსტრიაზე ლაპარაკიც არ გვიხდება. მისი შინაური მდგომარეობა იმდენათ კატასტროფიულია, რომ მას ჩვენზე ფიქრიც კი არ შეუძლია. ანტი-საბჭოთა ძალების კოალიციის დროს უნგრეთის მემამულეებისა და ფაბრიკანტების მთავრობას არაფრის გაკეთება არ შეუძლია. ჯერ ერთი,—იქ მუშათა მოძრაობა ძლიერია, საბჭოთა კომუნის სული ჯერ კვლავ ცოცხალია მათში და მეორე მიზეზი ისაა, რომ მეზობლებთან მისი დამოკიდებულება გამწვავდა, განსაკუთრებით რუმინელებთან და შეერთებულ შტატებთან. ასე რომ მათ არ შეუძლიათ საბჭოთა საქმეებში ჩარევა. პატარა თეთრი სახელმწიფოების მდგომარეობა, რომლებიც რუსეთის გარშემო აღმოცენდა, იმდენათ არეულია—მათი მთავრობები მუდამ გლეხთა და მუშათა აჯანყების შიშშია,—ასე რომ, მათ რუსეთისათვის არ სცალიათ. იმათ იციან, რომ მათი ჩარევა მათივე სრული მარცხით დასრულდება. პოლონეთში არ არის ის ერთსულოვნება, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინად არსებობდა. მრავალი აღმოჩნდა ომის მოწინააღმდეგე და აღარც არის მიზეზი ომის დაწყებისა წინასწარი ზავის შეკვრის შემდეგ; პოლონეთის შინაური მდგომარეობა კი ემუქრება პილსუდსკის მთავრობას. დიდი სახელმწიფო—ინგლისი იმდენათ შებოჭილია თავის შინაური მდგომარეობით: მუშათა მოძრაობის შიშით და ინდოეთის აჯანყებით, რომ მას ჩვენთვის არა სცალია.

ერთადერთი დამშვიდებული სახელმწიფო საფრანგეთია, რომელიც სულის ჩამდგმელია კომუნისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ თეთრი ფრონტისა. მაგრამ მისი საგარეო მდგომარეობა არ არის ბრწყინვალე. ევროპის ბედის გადაჭრისაკენ მისწრაფებამ გაამწვავა მისი დამოკიდებულება ინგლისთან, წითელი აჩრდილი უახლოვდება საფრანგეთს, როგორც აღმოსავლეთის მხრივ გერმანიიდან, ისე იტალიისა და ინგლისის მხრიდან. წერილის დასკვნა ასეთია: ჩვენ ეხლა ვისვენებთ ბურჟუაზიულ ქვეყნების შეუძლებლობის გამო. ამისათვის უნდა დავამარცხოთ ვრანგელი, რომლის ზურგს უკან სდგას რეაქციონური საფრანგეთი.

უთანხმოება ინგლის საფრანგეთ შორის.

უკანასკნელ ხანებში გამარჯვებულთა ბანაკში არ არის სიმშვიდე. ვერსალის ზავის გარემო ვითარდება საშინელი ანტაგონიზმი ინგლისს და საფრანგეთს შორის. ინგლისი მოითხოვს, რომ გერმანიას დაუთმონ, საფრანგეთი კი აღნიშნავს გერმანიის სამხედრო გაძლიერების შესაძლებლობას.

მუშათა მოძრაობა ინგლისში.

მემაღაროეთა გაფიცვა ძლიერდება. შემცირდა ქუჩების განათება. შეფილდმა 35 ათასი მუშა დაითხოვა. ინგლისის აღმოსავლეთით ლითონის ჩამომსხმელი ქარხნები იკეტება. რკინის გზელები მრავალ ადგილზე გაფიცვის მომხრე არიან და მემაღაროებს თანაგრძნობას უცხადებენ.

სამხედრო ცნობა.

ხერსონ-ალექსანდროვსკის მარიუპოლის ფრონტებზე მზვერავები მოქმედებენ.

პოლონეთი და რუსეთი.

მოსკოვი. ოქტ. 23. პოლონეთის თეთრ სახელმწიფოს მეთაურმა პილსუდსკიმ გასცა ბრძანება ჯარებისადმი დროებითი ზავის შესახებ. პილსუდსკი ბრძანებაში აღნიშნავს, რომ პოლონეთის ბედი ისევ იარაღზეა დამოკიდებული. პოლონეთი კრავს დროებით ზავს და ამავე დროს ჯარის შესავსებათ ორი წლის მობილიზაციას აცხადებს, რუსეთის მუშებსა და გლეხებს უნდა ახსოვდეთ, რომ ზავი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ბურჟუაზიულ სახელმწიფოების საზღვრებზე წითელი არმია იდგება. ჩვენი ჯარი კარგად უნდა გამოვკვებოთ, მას უნდა ჩავაცვათ და დავახუროთ. ჩვენ სხვათაგან დახმარებას არ უნდა მოველოდეთ. ზურგმა არ უნდა დაივიწყოს წითელ არმიელები, რადგანაც ისინი მძიმე მუშაობას ეწევიან.

ქარხნები ციხეების მაგივრად.

სმოლენსკის ყოფილი ციხე ფეხსაცმელების მექანიკურ ფაბრიკად გადაკეთდა.

მობილიზაცია ვრანგელის სასარგებლოდ.

სტამბოლში რუს აფიცერთა მობილიზაცია ვრანგელის ჯარის შესავსებათ ინგლისის ფანდერართა დახმარებით სწარმოებს.

ფრანგული პრესა

საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.

სტრასბურგში ოთხშაბათ საღამოს ფინანსთა მინისტრმა ფრანსუა მარსალმა საფრანგეთის სესხზე ხელის მოწერის გახსნისას მნიშვნელოვანი სიტყვა წარმოსთქვა. მან აღნიშნა რა საფრანგეთის წარმოების აღორძინება და ხარჯთ-აღრიცხვის საქმის გაძლიერება ფინანსიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, განმარტა მთავრობის ფინანსიური პროგრამა. შემდეგ მარსელმა აღნიშნა მთავრობის სურვილი ხარჯების შემოკლებისა და მიმდინარე ვალის შემცირებისა და გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ არავითარი ვალი არ დაუტოვონ გერმანიას, რადგან მას მშვენიერად შეუძლია ვალების გადახდა.

ლოიდ ჯორჯი და მცირე ანტანტა.

ტაკე იონესკუ დ-დ ხანს ესაუბრა ლოიდ ჯორჯს, რომელმაც მოიწონა მცირე ანტანტის დაარსება. საფრანგეთისა და ინგლისის დამოკიდებულების შესახებ ლოიდ ჯორჯმა განაცხადა ჩვენ ამ ჟამად უფრო მტკიცე მეგობრული კავშირით ვართ შეერთებული, ვიდრე ოდესმე ვიყავითო.

პოლონეთის მთავრობის პასუხი საფრანგეთ-ინგლისის ნოტაზე.

„პტი პარიზიენი“ სწერს: პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოგზავნა პასუხი საფრანგეთ-ინგლისის იმ კოლექტიურ ნოტაზე, რომელიც ვილსონის ინციდენტს შეეხებოდა. პოლონეთის მთავრობა აცხადებს, რომ მას არ დაურღვევია ლიტვასთან დადებული დროებითი ზავის პირობები და პასუხს არ აგებს იმ მოქმედებაში, რომელიც გენერალ ზელიგოვსკის ურჩმა ჯარებმა ჩაიდინეს. პოლონეთის მთავრობა კიცხავს ზელიგოვსკის მოქმედებას. ამას გარდა პოლონეთის მთავრობა აცხადებს, რომ ის დიდის პატივისცემით ეპყრობა ერთა ლიგის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომ მან გადასწყვიტა დაიცვას დროებითი ზავის პირობები, ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი არის პოლონეთსა და ლიტვის შორის უკვე დაწყებული ტყვეების გაცვლა-გამოცვლა.

ლიონის ცნობები

სოციალისტური დელეგაცია საქართველოში.

საქართველოში დასავლეთ ევროპის სოციალისტთა ჩასვლა დიდ მოვლენად შეიქნა ამიერ კავკასიის უკანასკნელ თვეების ცხოვრებაში. სოციალისტთა დელეგაცია ჩავიდა საქართველოში ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციების მოწვევით. დელეგაციაში შედიოდა ფრანგებიდან რენოდელი, ინგელსი და მარკე; ბელგიიდან: ემილ ვანდერველდე, ჰიუსმანსი და დე ბრიუკერი; ინგლისიდან: თომას შოუ, მისს სნოუდენი და მაკდონალდი. მათ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო არა მარტო ქართველმა მუშებმა, არამედ რესპუბლიკის მცხოვრებთა ყველა კლასმა. ქალაქის საბჭოში ქალაქის თავმა მოაგონა დელეგაციას ის საფრთხე, რომელსაც განიცდიდა ბათომი წლის წინათ, როდესაც ენვერ ფაშას ჯარი, რომელიც ახლა თვალსაჩინო წევრია მესამე ინტერნაციონალისა, შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში და თავის გზაზე რასაც კი შეხვდებოდა ანადგურებდა ყველაფერს. ბათომის მოქალაქეთა მაშინდელი თავგანწირულება ახლანდელ მათ სიხარულს თუ შეედარებოდა. მაკდონალდმა უპასუხა: ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ვიმყოფებით ჭეშმარიტ დემოკრატიის მომხრე საქართველოში. შრომის სასახლის წინ ვანდერველდემ წარმოსთქვა სიტყვა, სადაც გამოსთქვა თავისი თანაგრძნობა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ. ხალხისადმი. ტფილისში, რომელიც დელეგაციის შესახვედრად განსაკუთრებით მორთული იყო, დელეგაციას მიესალმა მთავრობის თავმჯდომარე, ქართველ [illegible] ტიის ძველი ლიდე[illegible]ნია. ჟორდანია მათ ფრანგულ ენაზე მიესალმა. „ტანს“ მიყავს ამ მისალმებიდან შემდეგი ადგილი: ქართველი დემოკრატია, რომელმაც აიღო რა ძალაუფლება ხელში, უტეროროთ და დემოკრატიული გზით შეუდგა უდიდეს პოლიტიკურ, აგრარულ და სოციალისტურ რეფორმების განხორციელებას ჩვენ ბედნიერი ვართ, როდესაც ჩვენს წრეში ვუყურებთ ჩვენს მასწავლებლებს, მეგობრებს და ამხანაგებს, რომლებიც ინტერნაციონალის წარმომადგენლები არიან. გვევსამართლეთ და მოგვეხმარეთ, ხელს გვაწვდით. ვანდერველდემ უპასუხა: საქართველო ჭეშმარიტათ აღთქმის ქვეყანაა. რაც თქვენთან ვნახეთ, იმან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რენოდელმა საქართველოს სოციალისტთა შემოქმედებით მუშაობის გამო თავისი აღფრთოვანება გამოსთქვა. შოუმ შეადარა საქართველო საბჭოთა რუსეთს. ბოლშევიკურმა რუსეთმა არ მისცა ხალხს თავისუფლება და კეთილდღეობა. საქართველოში კი წინააღმდეგი მოხდა. ხალხმა მოიპოვა თავისუფლებაცა და კეთილდღეობაც.

ინგლისის მუშები არასოდეს არ მიბაძავენ ბოლშევიკებს. ჩვენმა მუშებმა ისეთივე გზა აირჩიეს, როგორიც საქართველოს დემოკრატიამ. შემდეგში სნოუდენმა წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა: ჩვენ ვესალმებით საქართველოს, რომელიც ჩვენ ყველას გვიყვარს. ეს პირველი სახელმწიფოა, რომელმაც დაამყარა სოციალისტური წყობილება და რომელმაც თავიდან აიცილა ქაოსი, უბედურება და ძალმომრეობა. საქართველო ღირსია იყვეს დამოუკიდებელი მსგავსად სხვა ქვეყნებისა. ხალხი დელეგაციას აღფრთოვანებული მიესალმა და იმედი გამოსთქვა, რომ ქართველ მუშებსა და დასავლეთის მუშებს შორის მჭიდრო კავშირი დამყარდება.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

23 ოქტომბერი.

გერმანიასთან შეერთების მოთხოვნა

ციურიხი. ციურიხის პრესა იუწყება: ტიროლში არსებულმა გლეხთა სახალხო კავშირებმა გადასწყვიტეს საჩქაროდ მოითხოვონ გერმანიასთან შეერთება.

ამერიკის დახმარება გერმანიას.

ბერლინი. პრესა იუწყება: ამერიკის დახმარება გერმანიისადმი დღითი დღე იზრდება. ამერიკამ სურსათის გარდა გერმანიას მისცა 100 ათასი ძროხა. მან აგრეთვე გაიღო დიდძალი თანხა გერმანიაში და გერმანელებით დასახლებულ ავსტრიაში სამეცნიერო წიგნების გამოსაცემად, სამეცნიერო დაწესებულებათათვის საჭირო იარაღების, აპარატებისა და სხვ. მასალათა მისაწოდებლად.

თავრიზში გუბერნატორი არ შეუშვეს.

ლონდონი. თავრიზის ახალ გუბერნატორად დაინიშნა მუხბარ-ალ-სულთანი, მაგრამ იგი ქალაქში არ შეუშვეს. „ტაიმსის“ ცნობით მუხბარს მოუშველებია თავისი რაზმი. სროლის დროს მოუკლავთ 50, მათ შორის დემოკრატიულ პარტიის ლიდერი ქალაქის ყოფილი

დამჭკნარი ყვავილები

„მერცხალა“ ზედმეტი სახელი იყო ჩემი ესკიზის გმირისა, მაგრამ ეს სახელი მაზე ისე ზედ გამოჭრილი იყო, რომ მეზობლებს ნათლობის სახელი დავიწყებოდათ და სულ „მერცხალას“ ეძახდენ...

— აბა, ჩემო მერცხალა, ერთი შენებურათ აჭიკჭიკდი, გვიმღერე რამე.

— გიტარა დაუკარი.

— ლეკური ითამაშე, მერცხალა, ხშირათ მიმართავდენ კვირა-უქმე დღეებზე მერცხალას მეზობლები. ისიც მხიარული სიცილ-კისკისით ასრულებდა მეზობლების თხოვნას თან აიყოლიებდა მეზობელ ახალგაზრდებს და მერცხალას ფართო, მწვანეთ ახავერდებული ეზო, მხიარულების და ზეიმის მოედნათ იქცეოდა.

რაც უნდა დარდით და ვარამით ყოფილიყავი შეპყრობილი, დროებით ყველაფერი დაგავიწყდებოდა.

მეტადრე საამური სანახავი იყო მერცხალა ლეკურის თამაშის დროს: ისე არხევდა ლერწამივით ახლად აღვენთილ წერწეტ ტანს და ანაზდეულათ შლიდა მარმარილოს სხმულ თითებიან მოგრძო მკლავებს, თითქო ნელი სიო ახალმოზარდ ალვის ხეს ოდნავ აქანავებსო. გრძელი, მოწაბლისფერო ნაწნავები გველებივით ეგრიხებოდა თამაშის დროს წერწეტ ტანზე. ღია ჟუჟუნა თვალებს ხან ერთს შეანათებდა ეშმაკური ღიმილით და ხან მეორეს. ყმაწვილები ერთი მეორეს ეჯიბრებოდენ; არა მე დამიკრავს თავს და არა მეო, მარა მერცხალა უფრო ხშირათ მეზობელ კაკოსთან თამაშობდა, რადგანაც სკოლის ამხანაგები იყვნენ და პატარაობიდანვე შეეწყობოდენ ერთმანეთს, თუმცა ეხლა კაკო საფერშლო სასწავლებელს ათავებდა, მერცხალა კი სოფლის სკოლის დასრულების შემდეგ სახლში დარჩა და ოჯახს უვლიდა, ღარიბ მშობლებს ეხმარებოდა.

არავითარ შრომას არ თაკილობდა მერცხალა, ხშირათ კაცის საქმესაც კი ჩემულობდა. ჩინებულათ შეისწავლა ჭრა-კერვა და სხვა-და სხვა ხელსაქნარი, მაგრამ, როცა მოაგონდებოდა, რომ მან სწავლა ვერ განაგრძო, უცებ მოიწყენდა—რახან სასწავლებელში ვერ წავედი, საზოგადო განვითარებას მაინც მივიღებო—ფიქრობდა ის და მართლაც ადგილობრივ სამკითხველოში ერთი წიგნი არ დაუტოვებია წაუკითხავი. ამაში ხელს უწყობდა მას კაკოც, ხშირათ უგზავნიდა ქალაქიდან კარგი შინაარსის წიგნებს.

ასე მწყობრათ და ცხოვრების დიდ დაუშლელათ მიმდინარეობდა მერცხალას ნორჩი, შეფერადებული ცხოვრება, ვიდრე ის ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის არ შეიქნა.

მაგრამ...

მერცხალამ უცებ მოიწყინა... მისი მუდამ მხიარული, მაღლობზე წამოდგმული კარ-მიდამო, ვარდ ყვავილებით მორთული და მერცხალას ხელით გამშვენიერებული ეზო, სიცოცხლით სავსე მერცხალასთან ერთად დაგლოვიარდა.

მეზობლებს აღარ ესმოდათ საღამოობით ჩვეულებრივი იადონისებური გიტარაზე დამღერება, სასიყვარულო ლექსები და უდარდელი სიცილ-თამაში.

— რა მოუვიდა მერცხალას, ავად ხომ არ არის, რაშია საქმე?!—გაკვირვებით კითხულობდენ მეზობლები, მაგრამ მოწყენის მიზეზი კი ვერავის გაეგო.

რამდენიმე დღე კიდევ და მერცხალა სახლიდან აღარ გამოდიოდა. ის იჯდა დამგლოვიარებული, თავზე ხელშემოდგმული და დაფიქრებული, ორჯერ რომ გეკითხათ რამე, შეიძლება ერთხელ მოეცა პასუხი.

— რა მოგივიდა, შვილო! ჯავრით ნუ მომკალი, შენ შემოგევლოს შენი დედა, მითხარი რატომ ხარ აგრე გულჩათხრობილი და მოწყენილი?!—ევედრებოდა თვალცრემლიანი დედა საყვარელ შვილს და გულში იკრავდა, მაგრამ მერცხალა მოწყენის მიზეზს არავის ეუბნებოდა.

— ცოტა უქეიფოთ ვარ დედა... არა მიშავს—მოკლედ მოუჭრიდა დედას მერცხალა და მძიმედ ამოიოხრებდა. ასე გეგონებოდათ გულიც თან ამოაყოლაო.

მამას უნდოდა ექიმთან წაეყვანა მერცხალა, მარა ის არ დასთანხმდა.

ასე მიდიოდა დღეები, კვირეები..., მერცხალა სდუმდა.

2.

ერთ ზაფხულის მთვარიან ღამეში როცა სოფელი ახლად ჩაძინებული იყო და მყუდროება მეფობდა, მოულოდნელად გაისმა გიტარის ხმაზე შეწყობილი სევდის მომგვრელი ხმა:

„ახ მთვარევ, მთვარევ, დამწვარო იმედო,
მსურს ჩემი ტანჯვა შენ გაგიბედო“,

ეს მერცხალი იყო. რა კი დარწმუნდა, რომ ყველას ეძინა, გამოიტანა თავის საყვარელი გიტარა აივანზე, მაღალი თავ ყელი ჯეირანივით მოიღერებია და ნაღვლიანი თვალებით გაბადრულ მთვარეს შესჩიოდა მის წუხარებას... ღამის გუშაგიც, თითქოს მიხვედრილიყო მერცხალას ვარამს, თვალს არ აშორებდა ფერმკრთალ, დადარდიანებულ ქალწულის სახეს და ვერცხლის ფერ სხივებს, მერცხალას ლოყებზე ჩამოფუშულ თმებზე ათამაშებდა, რომელსაც ნელი სიო ოდნავ არხევდა.

კარგა ხანს ისმოდა სევდიანი ხმა მახლობელ არე მარეში; რომელსაც მხოლოდ ხის კენწეროზე მჯდომი ბულბული გამოეხმაურა.

მერცხალა კი უგალობდა გაღმა სერზე წამოდგმულ შენობის პატრონს, რომელსაც დაჟინებით გასცქეროდა გიტარის ტარზე დაყრდნობილი ნამტირალევი თვალებით...

— ჩემო კაკო... შენ ეხლა ტკბილათ გძინავს, არც კი ფიქრობ, თუ როგორ იტანჯება შენთვის დატანჯული უბედური მერცხალა .. ცოტა კიდევ და ჯვარსაც გადიწერ, ნასწავლ ქალს შეირთავ, ტკბილ ცხოვრებას შეუდგები. მე კი... აი ეს რევოლვერი გამიგმირავს გულს, სწორეთ იმ ღამეს, როცა შენ გაბედნიერდები...—მერცხალამ უბიდან პატარა რევოლვერი ამოიღო და დააშტერდა, თითქოს უნდოდა გაეგო,—ესეც ხომ არ მიღალატებსო. რევოლვერის ლულამ მთვარის შუქზე კიაფი დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ ისევ უბეში ჩაიდო და მის მაგიერ უბიდან ამოიღო წერილების კონა, რომლიდანაც სურათი გამოაძრო და ხარბათ დააშტერდა.

არ გრცხვენია?.. რატომ შემიყვარე, თუ არ გინდოდი?.. განა წინეთ არ იცოდი, რომ მე ნასწავლი და მდიდარი არ ვიყავი? მეც რომ შენსავით ნასწავლი ვყოფილიყავი, მაშინ ხომ არ მეტყოდი უარს? ნასწავლმა ნასწავლი მონახე. ნეტავი ისე შეგიყვაროს შენმა მდიდარმა საცოლომ, მე რომ მიყვარხარ... მე მაშინ კმაყოფილი დავხუჭავდი თვალებს... თუმცა ეს სისულელეა, მარა მე ასე მესმის და მრწამს სიყვარული. როგორ მენანება შენი მოშორება. ჩემი საყვარელი ოჯახის, მშობლების და ამხანაგების სამუდამოთ მიტოვება... ვიცი სისულელეს ჩავდივარ, ყველა გამიმტყუნებს, ზიზღით მომიხსენიებენ, მარა რა ვქნა, რომ ჩემი სიცოცხლე უარესი იქნება, ვინემ სიკვდილი...

როგორ მიხაროდა და მიყვარდა ცხოვრება, ქვეყანა სამოთხე იყო ჩემთვის, ეს ყველაფერი შენით, ჩემო კარგო! და როცა შენ სხვისი გახდები, მე ვერ შევურიგდები ამას. ბევრი ვებრძოლე ჩემს თავს, მაგრამ არ იქნა და არა, უშენოთ ჩემი სიცოცხლე ვერ წარმოვიდგინე. ჩემი სულელური ქცევით დავტანჯავ მშობლებს, მოკეთეებს; შეიძლება დროებით შენც შეგაწუხოს. ჯერ კითხვას ვერ ავუავდი: რა მოგივიდა, რა დაგემართაო? ის მომივიდა, რომ კაკო მშორდება... ჩემი ძვირფასი და საყვარელი კაკო ..—ამ სიტყვებით გაფიცხებული ტუჩებით მერცხალა სურათს დაეწაფა და გულ ამოსკვნილი ქვითინი მორთო...

— შვილო! მერცხალა!.. მოგიკვდეს შენი უბედური დედა!.. რატომ გვიმალავდი კაკო თუ გიყვარდა?!.—ცრემლების ფრქვევით ჩაიკრა გულში მერცხალა დედამ. მერცხალა შეკრთა, მარა გვიანღა იყო; დედას თურმე არ გამოეპარა შვილის სიმღერა და აივანზე მოდარაჯეს ძლივს ეხლა გაეგო მერცხალას საიდუმლოება.

დედა შვილი, დიდხანს იმდურებოდენ აივანზე ცხარე ცრემლებით.

3.

პატარაობიდანვე თან შეზრდილი მერცხალა კაკოსაც მოსწონდა და უყვარდა კიდეც. ჰქონდათ მიწერ-მოწერა: თუ რაიმე საყურადღებოს გაიგებდა ან ნახავდა კაკო ქალაქში, უთუოდ მერცხალას მისწერდა. კარგ წარმოდგენას თუ დაესწრებოდა ან კარგი შინაარსის წიგნს წაიკითხავდა, მერცხალას მოკლეთ აუწერდა, რითაც კაკო დიდი სიხარულს და სიამოვნებას გრძნობდა.

ასე იქცეოდა თავის მხრით მერცხალაც. დიდი სიფრთხილით და საიდუმლოებით სწერდა კაკოსთან გასაგზავნ წერილს. თუ კი რამე მოხდებოდა საყურადღებო მის სოფელში, ან მის ცხოვრებაში, უსათუოდ კაკოს აცნობებდა. და ამ მიწერ-მოწერამ დააჭკნო ეს ორი სიცოცხლით სავსე ყვავილები...

საქმე ასე იყო:

მერცხალას ერთ ამხანაგს კატოს, გაგიჟებით უყვარდა ადგილობრივი ვაჭრის შვილი შიო, რომელსაც, როგორც იყო, გიმნაზიის ხუთი კლასი დაესრულებინა და ეხლა მამის დანატოვებ ქონებას პატრონობდა. დრომდის შიოსაც უყვარდა კატო, მარა, როცა კოკორი ვარდი უკვე დაეყნოსა შიოს... სიყვარულზე გული აცრუებოდა..

პირველათ დის გაუბედურებას ენერგიულათ გამოესარჩლა კატოს უფროსი ძმა ნესტორი და შიოს მოსთხოვა,—კატო უსათუოდ ცოლათ შეერთო, მარა უკანასკნელმა გადაჭრილი უარით უპასუხა.

— მე კატო არ მყვარებია და თუ მაინცა და მაინც გინდათ ჩემი მოყვრობა, შენს უმცროს დას გულოს შევირთავო,—შეუთვალა შიომ ნესტორს. ასეთმა პასუხმა ძლიერ გააბრაზა ნესტორი და მოინდომა შიოს საქციელი ხალხში გამოეტანა. ასეც მოიქცეოდა, რომ მის განზრახვას მისი ცოლი ვარდო არ გადაღობებოდა და ნესტორისათვის არ დაეშალა.

— ამით საქმეს უარესათ გავამწვავებთ: ხალხი ძალით ცოლს ვერავის შეართვევს და ქვეყანაში თავი ტყვილა მოგვეჭრება. ამას აჯობებს შიოს გულო მივათხოვოთ, არც ამ მდიდარ სასიძოს დავკარგავთ და ერთ ჭირსაც თავიდან მოვიშორებთ.

— მერე, კატო რას იტყვის?! ხომ იცი როგორი გულის არის? თავი რომ მოიკლას? ან კიდევ გულო გაყვება ცოლად შიოს? მან ხომ ყველაფერი იცის?

— შენი საქმე მაკვირვებს, ნესტორ! კატოს შერთვაზე ხომ გადაჭრით უარი შემოგვითვალა! თუ გულოს შეირთავს, სულ ერთია, ჩვენი ოჯახისათვის ხომ არ იკარგება, გულოს მე დავითანხმებ. მან, რასაც ჩვენ ვურჩევთ, ის უნდა დაიჯეროს. რაც შეეხება კატოს, ჩვენ რა დამნაშავე ვართ,—კატო რომ შიოს არ უყვარდეს?! ერთი ათი დღით კატო სხვაგან გავისტუმროთ და გულოს ჯვარს დავწერთ. ჩვენ ის უნდა ვქნათ, რაც ჩვენი ოჯახისათვის აჯობებს და სასარგებლოა,—ბჭობდა ცოლ-ქმარი.

ასეც მოიქცენ: კატო ნათესავებში გაისტუმრეს, ვითომ გულის გადასაყოლებლათ, მის უმცროს დას გულოს კი შიოზე ჯვარი გადასწერეს...

კატომ, რომ ეს გაიგო, პირველათ ჭკუაზე შეცდა, გაშტერებული დაეხეტებოდა... მარა რამდენიმე თვის შემდეგ ისევ გონს მოვიდა, მოინდომა ოჯახი სამუდამოთ მიეტოვებია, მარა ამ შემთხვევამ ისეთი გავლენა იქონია მაზე, რომ გადატანა ველარ შესძლო და ლოგინათ ჩავარდა.

კატოს თანაგრძნობით ეპყრობოდენ მეზობლები და ამხანაგები, ხშირათ ნახულობდენ, ართობდენ და ამხნევებდენ, ხოლო ნესტორისა და შიოს ოჯახის საქციელს ყველანი გმობდენ და ცუდათ იხსენიებდენ, თუმცა ამის აშკარათ გამოთქმას ყველანი ერიდებოდენ.. მდიდარი კაცია, დაგვჭირდებაო?...

4.

ავათმყოფი კატო მერცხალამ და კაკომაც ინახულა. მისი ავათმყოფობის მიზეზი ამათაც იცოდენ და სიბრალულით ივსებოდენ.

— მომწერე, როგორ წავა კატოს საქმე, დაუბარა კაკომ მერცხალას, როცა ის ქალაქში მიდიოდა.

მერცხალამ შეასრულა კაკოს თხოვნა და ერთი თვის შემდეგ, შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა:

„ჩემო კაკო! სამწუხარო ამბავი უნდა მოგწერო, საშინელი ტანჯვის შემდეგ, სული დალია ჩემმა საყვარელმა ამხანაგმა კატომ. ვიცი მისი ასეთი ნაძალადევი სიკვდილი შენც ძლიერ დაგაღონებს და შეგაწუხებს; თუმცა ჩემსავით ახლო შენ მას არ იცნობდი.

ის იშვიათი, მაღალი სულის პატრონი ქალი იყო. ზედმიწევნით კეთილი, საკმაოთ მომზადებული და საუცხოვო საამხანაგო. უგულო ადამიანებმა ძალათ მოსპეს და უდროოთ დააჭკნეს მშვენიერი ნორჩი ყვავილი... მის დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო. ხომ იცი მას, როგორი მხურვალე მუშაობა მიუძღოდა... ჩვენი პარტიის მესაიდუმლე ახალგაზრდა ქალების წრიდან ის იყო. ამხანაგებმა მგრძნობიარე სიტყვები უთხრეს. კუბო გვირგვინებით შეუმკეს. შიოს და გულოს ეტყობოდათ სტანჯავდა სინიდისი, ხოლო ნესტორი და ვარდო ეხლა უფრო თავისუფლათ გრძნობდენ თავს. თუმცა ვარდო მისებურათ იცრემლებოდა, მარა მისი ამბავი რომ იცი, ჯირკი რომ დაუდო წინ, იმას იტირებს და შეიძლება შენც ბევრი გატიროს... მაგრამ ამჟამათ არავის აღარ სჯეროდა მისი ცრემლები... ერთმა ამხანაგმა კიდეც შენიშნა: „საწყალი რომ მოხდეს და კატო გაცოცხლდეს, ნეტავი როგორ გუნებაზე დადგება მისი პირისუფლიო“—ეს სიტყვები დამახასიათებელი იყო მათი. მეტი რა მოგწერო, მოუთმენლათ ველი შენგან წერილს. შენი გამოგზავნილი წიგნები ყველა გადავიკითხე. ძლიერ მომეწონა. იმედი მაქვს შემდეგშიაც არ მომაკლებ შენ ყურადღებას. იყავი კარგათ.

ნახვამდის. მარად შენი მერცხალა“.

აი ამ წერილმა დალუპა მერცხალა...

ის იპოვა ვარდომ კაკოს წიგნში. წიგნების თვალიერების დროს, როცა უკანასკნელი ქალაქიდგან სოფელში დაბრუნდა. და ისე შეუმჩნევლათ მოიპარა, რომ კაკოს არ გაუგია, წერილი ქმარსაც წააკითხა და ორივე ცოლქმარი მოემზადა მერცხალას წინააღმდეგ შურის საძიებლათ.

— მე ნესტორი არ ვიქნები, შენ თუ კაკოს არ ჩამოგაშორე. ეს ულვაშები არ მექნება, ჩემი დამცირება თუ არ განანე.

— ქალს ნუ დამიძახებს, ფეხები მაბანიოს, თუ ისე არ გაუხადო საქმე, რომ ორივე ხელებით მისივე თმებს არ იგლეჯდეს—დაექადნა ცოლ-ქმარი მერცხალას და...

აუსრულეს კიდეც..

ხ. რემონიძე.

(დასასრული იქნება).

სიყვარული

ყველა ეძებს სიყვარულსა,
მაგრამ ყველა როდი ჰპოვებს—
ზოგს სიამის შარბათს ასმევს,
ზოგს შხამსა და გესლს აწოვებს.

ახალგაზრდას ამოხუცებს,
ყმა ჭაბუკათ აქცევს ხნიერს;
გიჟს აბრძენებს, აჭკვიანებს,
ასულელებს დინჯ მეცნიერს.

ჭმუნვა სულისა

სულით უთვისო და მოწყენილი,
ობლად შთენილი ცას შევყურებდი;
მაგონდებოდა დრო გაფრენილი,
დრო დარჩენილი და ვმწუხარებდი.

დიდხანს და დიდხანს ვუმზერდი ცასა,
ცასა უსაზღვროს, გამოურკვეველს;
თითქოს ვეძებდი იქ ვიღაცასა:
შორეულს, უცნობს და მიუღწეველს.

გ. ქურიშვილი.

22 ღვინობისთვე
1920 წ.

დიქტატორი. დაუჭრიათ 7 კაცი. ბრძოლის შემდეგ თავრიზი მუხბარს დაუკავებია.

როგორ აიღეს ბუხარა ბოლშევიკებმა.

„ტაიმსი“ აქვეყნებს წითელ არმიელების მიერ ბუხარის დაჭერის დაწვრილებით ცნობას. გაზეთის ცნობით ქალაქის დაკავების დროს დიდი ბრძოლა გამართულა. ბუხარის ჯარის გარდა ქალაქს იცავდნენ ავღანელები. ლ. ოლვილნი იუწყებიან, რომ ქალაქს უკანასკნელ შესაძლებლობამდე იცავდნენ და იერიშის მიტანის ბოლშევიკები რამოდენიმეჯერ დაამარცხეს და უკუაქციესო. ბოლშევიკებს ქალაქის აღების დროს დიდი ჯარი დაუღუპათ.

პროტესტი.

ნიუიორკი. რესპუბლიკანურ პარტიის პრეზიდენტის კანდიდატმა სენატორმა გარდინგმა ამერიკის მოქალაქეთ მიმართა დეკლარაციით, სადაც კატეგორიულ პროტესტს აცხადებს ევროპის, აფრიკის და აზიის საქმეებში ამერიკის ჩარევის გამო.

უმუშევრობა გერმანიაში.

ბერლინი. ოფიციალური ცნობით გერმანიაში უმუშევართა რიცხვი 419000 აღწევს, ამათში 312000 მამაკაცია.

საქსონიის დამოუკიდებლები.

ლაიპციგი. საქსონიის დამოუკიდებელ სოციალისტთა კონგრესმა კატეგორიული უარი განაცხადა მესამე ინტერნაციონალში შესვლაზე. ხმის დიდი უმრავლესობით გადაწყდა სოციალიზმისთვის ბრძოლაში საერთაშორისო პროლეტარიატთან ერთად გამოვიდნენ. კონგრესმა აღნიშნა, რომ გერმანიის მუშათა კლასი მზად არის დაეხმაროს რუსეთის პროლეტარიატს, მაგრამ მოსკოვის წყუპილებაში იგი ვერ ხედავს საერთაშორისო სოლიდარობის გარანტიის პირობას. ამიტომ საქსონიის სოც. კონგრესი წინადადებას აძლევს პრუსიის დამოუკიდებლებს უარი განაცხადონ მესამე ინტერნაციონალთან და მოსკოვის ბოლშევიკებთან თანამშრომლობაზე.

სანოვაგის ფალსიფიკაცია.

ლონდონი. ინგლისის პრესა იუწყება, რომ მეტად განვითარდა სანოვაგის ფალსიფიკაცია.

ლითონის წარმოება ევროპაში.

ლონდონი. „დეილ კრონიკლი“ იუწყება: გადასახადების მომატების გამო წარმოება შემცირდა. გაზეთი ამასთანავე აღნიშნავს ევროპაში, ბელგიის გარდა, ლითონის წარმოების შემცირებას.

კონფლიქტი მწარმოებელთა და მუშათა შორის.

რომი. „ტრიბუნალი“ იუწყება: მინისტრთა საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მუშათა საკითხს. მთავრობამ გადასწყვიტა მწარმოებელთა და მუშათა შორის კონფლიქტის გადაწყვეტაში აქტიურად არ ჩაერიოს, მაგრამ ამასთანავე დაადგინა არ დაუშვას უწესრიგობა, თუ ამ კონფლიქტმა საშიში ხასიათი მიიღო.

ახალი ამბები

შტატების შემოკლება. მთავრობამ, მოისმინა რა ოქტ. 16. სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარის განცხადება სახელმწიფო დაწესებულებათა შტატების შემოკლების შესახებ, დაადგინა: დაარსოს კომისია შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით და შრომისა და იუსტიციის მინისტრებით. კომისიას ევალება შტატის შემოკლების განხორციელება. ხსენებულ კომისიის გადაწყვეტილებანი დაუყონებლივ უნდა იქნეს ცხოვრებაში გატარებული. შტატების შემოკლებისათვის საჭირო ზომების მიღების შემდეგ ყველა ეს ზომა დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

◆ **დეპოზიტი და თავისუფალი თანხა.** მთავრობამ დაადგინა: წინადადება მისცეს სახელმწიფო დაწესებულებებს თავისი დეპოზიტები და თავისუფალი თანხები სახელმწიფო ბანკში იქონიონ. ეს დადგენილება არ ეხება სახელმწიფო დაწესებულებათა იმ შემოსავალს, რომელიც უეჭველად ხაზინაში უნდა იქნეს შეტანილი.

◆ **საქართველოს პროტესტი.** გენერალ ვრანგელის შეიარაღებულ ძალთა ამა წლის ოქტ. 17 იგუმენოვის რაიონში საქართველოს ტერიტორიაზე თავდასხმის გამო საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმ. კ. ბ. საბახტარიშვილმა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის და საბერძნეთის მთავრობებს საპროტესტო ნოტით მიმართა. ნოტის ასლი გაეგზავნა ტფილისში არსებულ უცხოელთა მისიებს.

◆ **ოქტ. 22 მთავრობის თავმჯდომარემ ნ.** ჟორდანიამ მიიღო თავის ბინაზე რუსეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბ-ნი შეინმანი. შეინმანმა მთავრობის თავმჯდომარეს თავისი რწმუნებულების ბარათი გადასცა.

◆ **შრომის ბეგარა.** პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა ოქტ. 21 სხდომაზე განიხილა რა პროექტი შრომის ბეგარის შესახებ, მიუღებლად სცნო ამ კანონპროექტის ძირითადი პრინციპი. სეკრეტარიატი კანონ-პროექტის გადამუშავების მომხრეა.

◆ **შრომის ბირჟა.** საბჭოს სეკრეტარიატმა სთხოვა შრომის სამინისტროს დაჩქაროს საგანგებო თათბირის მოწვევა შრომის ბირჟის მოწყობისა და მისი მოქმედების ფარგლების გამოსარკვევად.

◆ **გვარდიის ყრილობა.** დღეს დილის 11 საათზე ზუბალაშვილის სახლის სახალხო სახლში გაიხსნება სახალხო გვარდიის ყრილობა. სხდომა ღია იქნება. პირველ სხდომაზე აირჩევენ პრეზიდიუმს, მოსმენილი იქნება მისალმებები და აირჩევენ სამანდატო კომისიას.

◆ **წარმოდგენა.** დღეს მე 5-თე ქვეითა ათასეულის თეატრში მსახიობი თარალაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართება ჯარის კაცთათვის წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნება სიძე-სიმამრი. დასაწყისი 7 საათზე

◆ **საქართველოს გერმანელთა სამადლო სახლის** სასარგებლოდ თფილისის მუშათა ცენტრალურ კლუბში კვირას, ოქტომბრის 24 გაიმართება საღამო სხვადასხვა გასართობით. შემოსავალი მოხმარდება იმ უმწეო მოხუცთა და მცირე წლოვან ბავშვთა შენახვას, რომელნიც გერმანელთა საქველმოქმედო საზ—ის ხარჯით ინახებიან ხსენებულ სამადლო სახლში.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** დღეს, 24 ოქტომბერს დილის 10 საათზე ყველა ფაკულტეტების სოც.-დემ. და თანამგრძნობ სტუდენტთა საერთო კრებაზე დამფ. კრ. წევრი პავლე საყვარელიძე წაიკითხავს პირველ ლექციას საკონსტიტუციო უფლებიდან.

◆ **სტატისტიკურ კომიტეტში.** ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი იწვევს დაინტერესებულ უწყებათა თათბირს 1920 წ. ხაშემოდგომო ანკეტის, 1920 წ. ქალაქის აღწერისა და 1921 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერისათვის მომზადების შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ **კოოპერატიული ცხოვრება.** თფილისის და მისი რაიონის კოოპერატივთა კავშირი შეუდგა თფილისის მცხოვრებთათვის საჭირო სურსათ-სანოვაგის დამზადებას. სურსათ სანოვაგის შესყიდვა აგენტების საშუალებით ხდება ახალციხის, ბორჩალოს და სიღნაღის მაზრებში. დამზადება უმეტესად ურთიერთ საქონლის გაცვლა გამოცვლის ნიადაგზე ხდება. კოოპერატივთა კავშირი აღნიშნავს იმ თანხის სიმცირეს, რომელიც აქვთ მათ დამზადების საწარმოებლად. კავშირს გადაუწყვეტია, აქვს აღძრას შუამდგომლობა სახელმწიფო ბანკის წინაშე, რომ მას მისცენ კრედიტი თამასუქებისა და საქონლის ქვეშ.

◆ **ჯარების რევიზია ბათომში.** ჩვენ გვთხოვენ, რომ ბათომში მყოფ ჯარების ნაწილთა რევიზიის შესახებ დამატებით შემდეგი გამოვაქვეყნოთ: 1) დამფ. კრ. მცირე კომისიამ რევიზია გაუკეთა ბათომში მდგარ ჯარის ყველა ნაწილებს, სახალხო გვარდიის და საზღვაო ფლოტილიას. 2) გაეცნო მათ როგორც სამეურნეო, ისე სამყუმბრო საქმეებს, 3) დაათვალიერა ყაზარმები და გაეცნო კვებისა და ჩაცმა-დახურვის საქმეს, 4) კომისია დეტალურად გაეცნო საბათალიონო და საროტო სკოლათა მდგომარეობას. 5) ოქტ. 15 კომისია გაემგზავრა ლიმანსა და სარფს მოსაზღვრე სადარაჯოების დასათვალიერებლად. 6) ბათომის ნავთსადგურში კომისიამ დაათვალიერა საბარგო გემი „მერანი“, 7) ამის შემდეგ მცირე კომისია გამოემგზავრა თფილისს, რათა დამფ. კრების სამხედრო კომისიას რევიზიის შესახებ მოხსენება გაუკეთოს.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროში.** ბერძნების ევაკუაცია. მთავრობამ ნება დართო სომხეთში მცხოვრებ ბერძნებს საქართველოს ტერიტორიით საბერძნეთში წასვლისა. ელინთა მისია ზრუნავს, რაც შეიძლება დაჩქარებით გაამგზავროს ბერძნები სამშობლოში. სომხეთში მცხოვრებ ბერძნების ევაკუაციის შემდეგ განზრახული იყო არდაგანის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრებ ბერძენთა ევაკუაცია, მაგრამ იგი ელინთა მისიის თხოვნით შეჩერეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამის შესახებ სათანადო უწყების მიმართ უკვე გამოსცა სათანადო განკარგულება.

◆ **სახელმწიფო ბანკში.** სახელმწიფო ბანკის გამგეობამ წარუდგინა საბჭოს განსახილველად საკითხი საგანგებო საწარმოვო კაპიტალის შექმნის შესახებ. ამ კაპიტალის დანიშნულება იქნება: გრძელვადიან სესხის მიცემით მრეწველობისათვის ხელის შეწყობა და განვითარება.

◆ **წისქვილების მოსამსახურენი.** საბჭოს სეკრეტარიატმა თავის ინსტრუქტორებს მიანდო გამოარკვიონ, თუ რომელ კავშირში უნდა შევიდნენ წევრად თფილისის წისქვილებში მომუშავენი და მოსამსახურენი.

◆ **ბრძოლა დეზერტირობასთან.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ რესპუბლიკის სამაზრო მილიციის უფროსებს დაუგზავნა შემდეგი შინაარსის ცირკულიარი: სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის მიერ არის მიღებული მთელი რიგი ზომებისა დეზერტირობასთან საბრძოლველად, რომელთა ცხოვრებაში გასატარებლად შტაბი საჭიროებს შესაფერის დახმარებას ადგილობრივ ადმინისტრაციის მხრივ. გატყობინებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ და ჯეროვანი ენერგიით შეასრულოთ ყოველი უშალო მომართვა თქვენდამი სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისა.

◆ **ქალაქის საბჭოში.** ორშაბათისათვის დანიშნულ ქალაქის საბჭოს სხდომის წესრიგში შემდეგი საკითხებია დასმული: 1) კამათი ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების კ. ა. ტატიშვილის მოხსენების გამო. 2) საკითხი ქალაქის აბანოების სარგებლობისათვის ტარიფის გადიდების შესახებ და 3) ქალაქის თვითმართველობის მდივნის არჩევა.

◆ დღეს, 24 ოქტომბერს, ათ საათზე დანიშნულია ექსკურსია ბოტანიკურ ბაღში ბუნების მეტყველების და გეოგრაფიის მასწავლებელთა ბ. ნ. ლოსნოვსკის ხელმძღვანელობით. შესახვედრი ადგილი: პირველი კარი კოჯორის გზატკეცილთან.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ნომერში მოთავსებულ განის წერილში შეცდომით დაბეჭდილია: „საქართველოს“ ენატრება ასეთი **მთავრობის წამის დადგომა. უნდა იყოს:** „საქართველოს“ ენატრება ასეთი **მდგომარეობის** დადგომა. დაბეჭდილია: აქედან იწყება ის **ისტორია**, რომლითაც სავსეა „საქართველოს“ ფურცელი. **უნდა იყოს:** აქედან იწყება ის **ისტერია**, რომლითაც სავსეა „საქართველოს“ ფურცელი. გუშინდელ წერილში „სასამართლოს გარშემო“ სწერია: „არ მოუკლია ის იმედები“ უნდა იყოს: „არ მოუცია ის შედეგები“.

კრებები.

დღეს, საღამოს 6 საათზე ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის ბინაზე შესდგება ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის მე-3 რაიონის საზოგადო კრება. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები.

— დღეს, დილის 10 საათზე თფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში დანიშნულია ამავე ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტის ქართველ სტუდენტთა საერთო კრება.

— დღეს, დილის 10 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია ქალაქის სასურსათო განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. ვინაიდან კრება მეორე ჯერ არის დანიშნული კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

— რესპუბლიკის ექიმთა პროფ. კავშირის თფილისის განყოფილების კრება მოხდება ოთხშაბათს, ოქტომბრის 27, საღამოს სრულ 8 ს. სახელმწ. უნივ. დიაგნოსტურ კლინიკის აუდიტორიაში (დიდი მთავრის ქ. № 103). დღიურ წესრიგშია ფრიად საყურადღებო საკითხები. თუ ვინიცობაა ქვორუმი არ შეიკრიბა დანიშნულ დროზე, ერთ საათის შემდეგ კრება გაიხსნება.

დღეს, 24-ს ოქტომბერს, დღის 12 საათზე ქალთა 1 გიმნაზიაში დანიშნულია საქართ. მასწავლებელთა კავშირის კონფერენცია.

— დღეს, დილის 12 საათ. ახალ ბინაზე („ერთობის“ შენობა) დანიშნულია საქ. ახალგ. მარქს. ორგ. ცენტრალურ კომიტეტის სხდომა.

კვირას, 24 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, საბურთალოს მუშათა კლუბში დანიშნულია ამავე კლუბის წევრთა წლიური საზოგადო კრება, რომელზედაც განსახილველია წლიური ანგარიშები და ასარჩევია ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია.

— დღეს, 24 ოქტომბერს მეხუთე ქალთა გიმნაზიის შენობაში (ანდრეევის ქუჩა № 42) დანიშნულია ამავე გიმნაზიის მშობელთა და მზრუნველთა წლიური საზოგადო კრება. მშობელთა წრის საბჭო სთხოვს ყველა მშობლებს აუცილებლივ დაესწრონ აღნიშნულ კრებას.

უცხოეთი

ნორვეგია.

განხეთქილება ნორვეგიის სოც.-დემ. პარტიაში.

გაზ. „ფორვერტს“-ის ნორვეგიელი კორესპონდენტი სწერს: ნორვეგიის მუშათა მოძრაობის თავისებურობა უკვე დიდი ხანია იმაში მდგომარეობს, რომ სოციალისტურ პარტიულ ორგანიზაციას მჭიდრო ორგანიზაციული კავშირი აქვს პროფესიონალურ კავშირებთან. ამ კავშირმა, ნორვეგიის პროფესიონალურ მოძრაობის განსაკუთრებულ ხასიათის გამო, ის შედეგი გამოიღო, რომ პარტია თანდათან უფრო მეტად იმსჭვალებოდა „პირდაპირი მოქმედების“ იდეით, თუმცა პრაქტიკულათ ეს იდეა აქამდე არსად არ გატარებულა სერიოზულათ. 1919 წ. ქრისტიანიაში პარტიამ ყრილობაზე დიდი ხმის უმრავლესობით მიიღო მე-3 ინტერნაციონალთან შეერთების წინადადება; თუმცა აქ გაკეთებული იყო შენიშვნა ანტიმილიტარისტულ პოლიტიკის შესახებ (ნორვეგიელები ბოლშევიკების ტაქტიკურ დირექტივებში ხედავდნენ მილიტარიზმის ელემენტებს),—ამ გადაწყვეტილებას შედეგათ მოჰყვა პარტიის შიგნით ანტიბოლშევიკურ ოპოზიციის გაჩენა, რომელსაც აქვს თავის საკუთარი ორგანო „არბაიტერ პოლიტიკენ“.

ამ ბოლო დროს გაძლიერდა პარტიაში რასკოლის მომხრე მიმართულება, თუმცა პარტიულ ოპოზიციას დამოუკიდებელ პარტიის შექმნის საქმე არ მიაჩნია ადვილ საქმეთ. მაგრამ ეხლა, მოსკოვის კონგრესის შემდეგ, გაზეთი „არბაიტერ პოლიტიკენი“ აშკარათ უჭერს მხარს რასკოლს იმ დროს, როდესაც პარტიის ოფიციალური ორგანო „სოციალ-დემოკრატენი“ კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ „პარტია ძლივს გაიწმინდა „კონტრ რევოლუციონერებიდანო“. ამ გვარათ, ორგანიზაციული განხეთქილება სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის ნორვეგიაში აუცილებელია ახლო მომავალში.

გერმანია.

მუშები ბურჟუაზიულ პარტიებში. ბავარიის სახალხო პარტიას, პარტიის ცენტრს, გამოეყო „ქრისტიან სოციალისტთა პარტია“, რომელიც თავისი პროგრამის თანახმად ჰფიქრობს ბრძოლა აწარმოოს „კაპიტალიზმისა და აგრეთვე მატერიალისტურ სოციალიზმის“ წინააღმდეგ. ამ პარტიას საფუძველი ჩაეყარა ვიურცბურგში; მოძრაობას სათავეში ჩაუდგა სახალხო კავშირის მდივანი გელლერი, რომელმაც ახალ დაარსებულ პარტიას გადასცა თავისი ყოველკვირეული ორგანო „ახალი ქვეყანა“. დამოუკიდებელ პარტიის დაარსების ერთ-ერთ მიზეზათ ის ითვლება, რომ მუშები უარყოფითად ეკიდებოდნენ ბავარიის ცენტრის პარტიის პარტიკულიარისტულ პოლიტიკას. დამოუკიდებელ პარტიის დაარსებისაკენ მისწრაფება აქვთ აგრეთვე მუშებს, რომლებიც დემოკრატიულ პარტიაში ითვლებიან. ამას მოწმობს გირშ-დუნკეროვის პროფესიონალურ კავშირთა თავმჯდომარის გუსტავ ჰარტმანის მოხსენება. რომელიც მან გააკეთა 9 სექტემბერს ბერლინში რწმუნებულთა კრებაზე. ჰარტმანი ტყუილათ ჰფიქრობდა და ამტკიცებდა, რომ დემოკრატიულ მუშათა პარტიის დაარსებას არავითარი საფუძველი არა აქვსო.

ის, რაც დღეს ბავარიაში და ბერლინში ხდება, ნათლათ მოწმობს იმას, რომ მუშები, რომლებიც დღემდე ბურჟუაზიულ იდეოლოგების გავლენის ქვეშ იყვნენ,—დღეს უკვე ჰკიდებენ ხელს საკუთარ კლასიურ თვითმოქმედებას. ალბათ, ამით აიხსნება აგრეთვე ის გარემოება, რომ ორივე დასახელებული პარტია—დემოკრატიული და ცენტრი, ფრთხილათ აწარმოებენ თავიანთ მოქმედებას და უარს ამბობენ ყოველგვარ მოქმედებაზე, რაც აშკარა მემარჯვენეობის შთაბეჭდილებას ქმნის („ფორვერტსი“.

კომუნისტური ინტერნაციონალი და გერმანიის დამოუკიდებელ სოციალისტთა პარტია.

კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმ. კომიტეტმა ვრცელი წერილით მიმართა გერმანიის დამოუკიდებელთა პარტიას, რომელშიაც იგი ეხება მესამე ინტერნაციონალში შესვლის პირობებს.

1) აღმასრულებელი კომიტეტი პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ დამოუკიდებელთა ცენტრალურმა კომიტეტმა მემარჯვენე ფრთის გავლენით გადასწყვიტა მოიწვიოს სასწრაფო პარტეიტაგი 20-ს ან 12 ოქტომბერს. სასწრაფო პარტეიტაგის ასე საჩქაროთ მოწვევა იმას გამოიწვევს, რომ მუშებს საშუალება ესპობათ გაერკვენ ფრიად მნიშვნელოვან პრინციპიალურ საკითხებში, რომლებიც ახლა დღის წესრიგში სდგანან. უკვე ეს ერთი ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს არა-ლოიალობის უმაღლეს წერტილათ და მოწმობს მემარჯვენე ხელმძღვანელთა არაკეთილსინდისიერებას.

2) მსჯელობის მთელი ცენტრის ორგანიზაციულ საკითხებზე გადატანა მოასწავებს პრინციპიალურ საკითხების მიჩქმალვას, როგორიც არის: პროლეტარიატის დიქტატურა, ბრძოლა საბჭოებისათვის, არალეგალურ ორგანიზაციის შექმნა, სოციალ-პაციფიზმზე უარის თქმა, ყოველგვარ დამოკიდებულებათა გაწყვეტა კაუცკისა და ჰილფერდინგის მსგავს რენეგატებთან.

3) მეორე კონგრესის მოთხოვნილებები, რომლებიც ორგანიზაციულ საკითხებს შეეხება, შეგნებულათ დაამახინჯეს დიტმანმა, ჰილფერდინგმა და კრისპინმა. „კომინტერნი“ არ მოითხოვს, რათა გაზეთები გადაეცეს სპარტაკელებს, არამედ მოითხოვს, რომ რედაქტორებათ იყვნენ სინდისიერი რევოლიუციონერები, რომლებიც ეხლა კომუნისტები არიან. გარდა ამისა ის არ ადგენდა და არც ადგენს გამოსარიცხავ პირთა სიებს.

„კომუნისტი“ ებრძვის ოპორტიუნისტულ მიმდინარეობას, რომელიც, რასაკვირველია, განხორციელდება ცოცხალ ადამიანებში, რომლებიც რევოლიუციას ღალატობენ. რეზოლიუცია ჰგულისხმობს გამონაკლისს ისეთ მემარჯვენეებისათვის, რომლებმაც უკვე აღიარეს თავიანთი შეცდომები.

4) ყვირილი იმის შესახებ, თითქოს რუსების დიქტატურა არსებობდეს, აშკარა არაკეთილსინდისიერებაა; „კომინტერნის“ ისპოლკომში სულ 21 წევრია; ამათში რუსი მარტო ხუთია, დანარჩენები წარმოადგენენ 16 სხვა პარტიას.

5) „კომუნისტის“ ისპოლკომი მოითხოვს, რათა პარტია ცენტრალისტურათ მოეწყოს, ვინაიდან მხოლოდ ასეთ პარტიას შეეძლება წარმატებით აწარმოოს ბრძოლა მტრებთან.

დიტმანი მოსკოვში მომხრე იყო ასეთი ცენტრალიზმისა. „კომინტერნმა“ იცის, რომ ასეთი ცენტრალიზმის დამყარება შესაძლებელი იქნება. მთელი წლების ბრძოლის შემდეგ; მას საფუძვლათ უნდა დაედოს მასსების ნდობა ნამდვილათ რევოლიუციონერ ხელმძღვანელებისადმი. ცენტრალიზმი არ შეიძლება ერთი დღის საქმე იყოს.

6) დიტმანისა და კრისპინის ყოფაქცევამ დაამტკიცა, რომ ამ წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებთან დარჩენა ერთ პარტიაში შეუძლებელია. თავიანთი მერყეობით გადამჭრელ წუთში ისინი ღალატობენ რევოლიუციას, როგორც ღალატობენ მას დღეს იტალიაში დარგონა, მოდელიანი, ტურატი და სხ. თუ დამოუკიდებლები არ გააძევებენ თავიანთ პარტიიდან ასეთ წარმომადგენლებს,—ეს პარტია არ იარსებებს, როგორც რევოლიუციონური პარტია.

7) ისპოლკომი მიმართავს დამოუკიდებელ მუშებს შემდეგი მოწოდებით: 1) აირჩიეთ ყრილობაზე ისეთი დელეგატები, რომელნიც მომხრენი არიან „კომინტერნთან“ შეერთებისა; 2) გახსოვდეთ, რომ ეხლა სწყდება საკითხი იმის შესახებ,—დარჩებით თქვენ მთელი ქვეყნის რევოლიუციონურ მუშების რიგებში, თუ ტყვეთ იქნებით კაპიტალის აგენტების ხელში. („პრავდა“, 25 სექტ.).

შრომის მინისტრის ამხანაგის ცირკულიარი

ყველა მუშათა მაგიდებს, შრომის კომისიებს და რწმუნებულთ.

თანახმად შრომის სამინისტროს და სატარიფო პალატის დადგენილებისა, ყველა საზოგადო და კერძო დამქირავებელთ, რომელთა მუშა-მოსამსახურენი იღებენ მუშათა მაგიდ. იაფ პურს, უნდა შეეტანათ მუშათა მომარაგების ფონდში: ა./წ. მაისში ათას-ათასი მანეთი თვითეულ მუშაზე და მოსამსახურეებზე, ივლისში კიდევ ათას-ათასი მანეთი და უკანასკნელი (11 ოქტომბრის) დადგენილების ძალით უნდა შეიტანონ არა უგვიანეს მომავალ ნოემბრის 1 რიცხვისა სამი ათასი მანეთი თვითეულ მუშა-მოსამსახურეზე.

ვინაიდან ზოგიერთ დამქირავებელთ ზემოაღნიშნული გადასახადი დღემდის არ გადაუხდიათ, გვავალებათ გამოუცხადოთ მათ, 1 ნოემბრამდის უეჭველად შემოიტანოთ მუშათა მაგიდის კასაში როგორც აღნიშნული სამი ათასი მანეთი, აგრეთვე წინანდელი ათას-ათასი მანეთები, თუ თავის დროზე არ იყო შემოტანილი.

თუ დამქირავებელნი 1 ნოემბრამდე არ შემოიტანენ აღნიშნულ გადასახადს, სამინისტრო იძულებული იქნება მოუსპოთ მათ მუშა-მოსამსახურეთ იაფ სურსათ-სანოვაგის მიწოდება მუშათა მაგიდიდან.

შრომის მინისტრის ამხანაგი **ალ. ბახტაძე.**

ბრძოლა ეპიდემიასთან

ჯანმრთელობის დეპარტამენტში სხვა და სხვა უწყების წარმომადგენელთა მონაწილეობით შესდგა თათბირი შავ ჭირთან ბრძოლის საკითხის შესახებ. საკითხის დაწვრილებითი განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილებანი: 1) ეცნობოს მცხოვრებთ პრესის ფურცლებისა და სხვა საშუალებით, თუ როგორი საფრთხე მოელის მათ შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელებისაგან, 2) დაევალოს სახლის და სასტუმროების პატრონთ აცნობონ თფილისის სანიტარულ ბიუროს შავი ჭირით ავათ გახდომის ყველა შემთხვევა. ასეთივე დავალება ეძლევა ყველა ექიმს, რომლებიც თფილისში მუშაობენ, 3) ბათომიდან დღით ჩამოსული ვაგონები უნდა გადმოიტვირთოს დღით, ამასთანავე უნდა თვალყური ედევნოს, რომ სადგურის მიდამოებში არ გაჩნდნენ ვირთაგვები, 4) თფილისის საწყობებში არსებული საქონელი უნდა ელაგოს იატაკიდან და კედლებიდან ერთი ადლის დაშორებით, 5) უნდა იქნეს მიღებული ზომები ვირთხების მოსაწამლავად, ამასთანავე ხვრელები მაზუთით და კირით უნდა გაიწმინდოს, 6) ქალაქი უნდა გასუფთავდეს ნაგვისაგან, 7) შავი ჭირით ავათ გამხდარი უნდა მოათავსონ ქალაქის საავადმყოფოში. აღნიშნულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება სანიტარულ ორგანიზაციის ენდობა. (სდს).

პროექტი კანონისა შრომის ბეგარის შესახებ

შრომის სამინისტრომ დასკვნისათვის დაინტერესებულ უწყებებს და პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარუდგინა პროექტი კანონისა შრომის ბეგარის შესახებ. პროექტი 12 მუხლისაგან შესდგება: 1) მუშებისა და მოსამსახურეების სათანადო კადრის სახელმწიფო და საზოგადოებრივ [illegible]ვნილებების უზრუნველსაყოფად და აგრეთვე ყველა მშრომელ ელემენტის სასარგებლო მუშაობაში ჩასათრევად—არსდება საყოველთაო შრომის ბეგარა. 2) შრომის ბეგარა ეხება ყველა მამაკაცს, ვინც კი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სცხოვრობს, 18—60 წლამდე და დედაკაცს 18—50 წლამდე. 3) შრომის ბეგარის მოსახდელად პირველად ყოვლისა გაწვეული იქნებიან ქალაქთა მცხოვრებნი, რომლებსაც არა აქვთ სამუშევარი და აგრეთვე ისეთი სპეციალისტები, რომლებსაც არა აქვთ სამუშევარი თავის სპეციალობის და მიხედვით, 4) შრომის ბეგარისაგან თავისუფლდებიან ავადმყოფნი და აგრეთვე ქალები ფეხმძიმობის და პატარა ბავშვების ძუძუს წოვის დროს. 5) შრომის ბეგარა შეიძლება იქნას შემოღებული მთავრობის ბრძანებით და აგრეთვე ქალაქთა და ერობათა დადგენილებებით. თვითმართველობების დადგენილებანი დასკვნისათვის გადაეცემა უმაღლეს საბჭოს, რომელიც შემდეგ მთავრობამ უნდა დაამტკიცოს. 6) შრომის ბეგარის მოსახდელად გასაწვევ პირთა რაოდენობას საზღვრავს მთავრობა, იმისდამიხედვით, თუ როგორი არის სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებანი, 7) შრომის ბეგარით გაწვეულნი პირნი იღებენ შრომის ხელფასს, რომელსაც შრომის სამინისტრო საზღვრავს. 8) საქმეებს, რომლებიც შრომის ბეგარას შეეხება უმაღლესი ეკონომიური საბჭო განაგებს. საბჭოები მოქმედებენ ადგილობრივად ქალაქთა და ერობათა თვითმართველობის ორგანოებთან ერთად. კომისიაში შედიან: ორი წარმომადგენელი ადგილობრივ თვითმართველობიდან და თითო თითო წარმომადგენელი პროფესიონალურ კავშირიდან, სახალხო გვარდიიდან და შრომის სამინისტროდან, 9) ეკონომიურ საბჭოს ეძლევა უფლება ინსტრუქციის გამოცემისა. ინსტრუქციებს და წესებს საბჭო შრომის სამინისტროსთან შეთანხმებით სცემს და სხვ. (სდს.).

ერობათა ცხოვრება

გურიის ერობაში.

ერობის გამგეობამ შემოიღო ორი სათემო ინსტრუქტორის თანამდებობა 9.000 მან. ჯამაგირით თვეში თვითეულზე საგზო ხარჯების ანაზღაურებით. ინსტრუქტორების მოვალეობის შესახებ ერობის სამდივნომ შეადგინა მოკლე სახელმძღვანელო, რაც ერობის გამგეობამ დაამტკიცა.

სათემო ინსტრუქტორებათ დაინიშნენ: ვასო კილაძე და გრ. მახარაძე.

— ერობის გამგეობა შუამდგომლობს განათლების სამინისტროს წინაშე, რათა შუა სურების თემში დაარსდეს უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი; ეს სასწავლებელი ემსახურება, როგორც შუასურების, ისე ზემო-სურებისა და დიდვანის თემებს, რომელთა მცხოვრებნიც კისრულობენ ყოველივე კანონით განსაზღვრულ ვალდებულებას.

— ერობის გამგეობას განზრახული აქვს მომავალი სეზონიდან მოაწყოს აგარაკ ბახმაროზე სანატორიუმი.

— როგორც უკვე იყო აღნიშნული, ამ რამდენიმე დღის წინ ნატანებ-ოზურგეთის გზაზე გასცარცვეს ავტომობილით მიმავალი მგზავრები; მაზრის მილიციამ ოთხი მძარცველთაგანი უკვე დაატყვევა. ესენი აღმოჩნდენ ქართველი მაჰმადიანები ქობულეთის რაიონიდან: ოსმან ცეცხლაძე, ახმედ თხილი-ოღლი, შინდაძე და ხეიძე, რომლებიც უკვე გამოტყდენ თავის დანაშაულში. მიღებულია ენერგიული ზომები დანარჩენების დასაჭერათ.

— ერობის გამგეობამ დაამტკიცა ახალი გადიდებული ნიხრი ნატანებ-ოზურგეთს შუა მგზავრობაზე, რომლის თანახმად ნაცვლად 300-სა დაწესდა 400 მან. თვითეულ მგზავრზე როგორც ავტომობილზე, ისე ეტლში. გამგეობამ 400 მანეთივე დააწესა თვითეულ მგზავრზე ერობის ეტლით ჩოხატაურამდე მგზავრობის ქირათ.

— ერობაში ძლიერ ბევრი თხოვნები შედის სოციალური დახმარების აღმოჩენის შესახებ. ერობის გამგეობა დაწვრილებით ცნობებს ჰკრებს მთხოვნელთა ოჯახურ ნივთიერ მდგომარეობის შესახებ და, როდესაც რწმუნდება, რომ მთხოვნელი მართლაც ღირსია ასეთი დახმარებისა, შუამდგომლობს შრომის სამინისტროს წინაშე, მთხოვნელისთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, თანახმად 21 მაისის 1920 წ. კანონისა, მაგრამ შრომის სამინისტროს სოციალური დახმარების განყოფილება ბევრ თხოვნებს უკანვე აბრუნებს უარით იმის

სახალხო გვარდიის ყრილობისათვის

ქ. თფილისში, ოქტომბრის 24-ში

მოწვეულია სახ. გვარდიის მეორე ყრილობა

მთავარი შტაბის მიერ ყრილობის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება საერთო პოლიტიკურ მდგომარეობაზე.
2) მთავარი შტაბის მოხსენება წარსულ მუშაობის შესახებ.
3) მთავარ შტაბის განყოფილებების მოხსენება მათი მუშაობის შესახებ.
4) სახალხო გვარდია, როგორც სამხედრო და სამეურნეო ორგანიზაცია.
5) დისციპლინა და პასუხისმგებლობა სახალხო გვარდიაში.
6) სახალხო გვარდიის ძირითად კანონის გადასინჯვა.
7) ცვლილებების შეტანა სახ. გვარდიის წესდებებში.
8) დამოკიდებულება შტაბებსა და ნაწილების უფროსებს შორის.
9) სახ. გვარდიის შტატების გადასინჯვა.
10) სახ. გვარდიის ფორმა, ნიშნები და აგრეთვე სამხედრო ნიშნები ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის.
11) მიმდინარე საკითხები.
12) მთავარი შტაბის არჩევნები.

ყრილობისათვის 150 გვარდიელი ირჩევს ერთ დელეგატს. საარტილერიო ბრიგადა ირჩევს თითო ბატარეიაზე თითო დელეგატს.

ცხენოსანი პოლკი—თითო ასეულზე თითო დელეგატს.

საინჟინერო გუნდი, ტყვიისმფრქვეველი რაზმი, ჯავშნიანი მატარებელი და ავტო-ჯავშნიანი დივიზიონი დელეგატს—თითო.

სახ. გვარდიის მუშა-მოსამსახურეთა კავშირი გზავნის 3 დელეგატს სათათბირო ხმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამო, რომ მთხოვნელი ვერ ადგენს ჯარის ნაწილიდან სათანადო მოწმობებს მისი შვილის, ქმრისა თუ მამის ომში მოკვლისა თუ უკვალოდ დაკარგვის შესახებ. ერობის გამგეობის მიერ შეკრებილ ცნობებს და დასკვნას, დამყარებულს თემის გამგეობის კვლევა ძიების ოქმსა და მოწმობებზე, განყოფილება ანგარიშს არ უწევს, რაც სჩანს მისი ოფიციალური მოწერილობებიდან. მთხოვნელთა დიდ უმრავლესობას კი არა აქვს საშუალება წარადგინონ მოწმობები ჯარის ნაწილიდან, რადგან ბევრს არც კი აქვთ ასეთი მოწმობები, და ბევრს კი წარდგენილი ჰქონდა პენსიის საქმის გამო ოზურგეთის სამაზრო სამხედრო საკრებულოში, სადაც დაიკარგა სხვა საქმეებთან ერთად ოსმალთა შემოსევის დროს. ერობამ ეს აცნობა შრომის სამინისტროს და სთხოვა დაკმაყოფილება გამგეობის დასკვნით ასეთ შემთხვევაში. საჭიროა სათანადო უწყებამ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრი ომში მოკლულ-დაკარგულთა ძლიერ გაჭირვებული ოჯახი დარჩება სოციალური დახმარების გარეშე.

— გურიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ წინადადებით მიმართა ერობისა და ქალაქის გამგეობებს, რათა მიიღონ ზომები ოზურგეთში შრომის ბირჟის დასაარსებლათ თანახმად შრომის ხელშეკრულების კანონისა.

— ერობის გამგეობამ ამ დღეებში მიიღო ასეთი დადგენილება; „იმ მასწავლებლებს, რომლებიც სცხოვრობენ თავისავე სახლში და იმავე თემში, სადაც მასწავლებლობენ, მიეცეს საერობო ხარჯზე მხოლოდ განათება, გათბობა და ბინა კი—არა. ტანვარჯიშობის, გალობისა და ხელსაქმის მასწავლებლებს კი—არ მიეცეს არც განათება".

— ჩოხატაურის საერობო გიმნაზიაში ერობამ 1 ოქტომბრიდან დააწესა ხელსაქმის მასწავლებლის თანამდებობა მთავრობის შტატით განსაზღვრული ჯამაგირით.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულების თანახმად, ერობამ ამ დღეებში მიმართა თემებს, რათა სამაზრო ერობისა და თემების საარჩევნო სიები დაუყონებლივ გაამზადონ. თემები უკვე შეუდგნენ ამ ნიადაგზე მუშაობას.

ხუციინ.

სახალხო გვარდიაში

თფილისი. 5 ოქტომბერს მუშტაიდის მუშათა კლუბში შესდგა ვაგზლის რაიონის სახ. გვარდიის მეორედ მოწვეული საზოგადო კრება. დაესწრო 134 გვარდიელი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ა. დუმბაძე, მდივნათ ა. ჩაკაშუა. კრებას გასარჩევი ჰქონდა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება შტაბის მუშაობის შესახებ დღიდან დაარსებისა, 2) მოხსენება ფრონტის საგამომძიებლო კომისიისა, 3) სახალხო გვარდიის მეორე ყრილობის დღის წეს-რიგი, 4) ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები და 5) წვრილმანი კითხვები.

პირველ საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. თ. ვასაძემ. კრება სულ განაბული უსმენდა მომხსენებელს. მეორე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა საგამომძიებლო კომისიის წევრმა ვ. კანტიძემ ზოგიერთი გვარდიელების ფრონტზე ბოროტ-მოქმედების შესახებ. კრება ვერ დაკმაყოფილდა იმ საბუთებით, რომლებიც წამოყენებული იქნა ბრალდებულების წინააღმდეგ და დაადგინა: იქნას ამორჩეული სამი კაცისაგან შემდგარი ახალი კომისია და მას დაევალოს ზოგიერთი საქმო კითხვების გამოძიება და თავისი დასკვნის წარმოდგენა საზოგადო კრებისთვის. კომისიაში არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: 1) ავალიანი, 2) მგელაძე და 3) კალანდაძე; კანდიდატათ—პაატოვი.

მესამე კითხვაზე მოხსენება გააკეთა მდივანმა თ. ვასაძემ. მოხსენება მიღებულ იქნა მხედველობაში.

მეოთხე კითხვა ეხებოდა, ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევას.

აირჩიეს: თედორე ვასაძე და დუმბაძე.

კრებას ჰქონდა აგრეთვე მსჯელობა მთავარი შტაბის შემადგენლობაზე. კრებამ მწუხარება გამოსთქვა, რომ ასეთ მრავალ რიცხოვან რაიონს არა ჰყავს მთავარ შტაბში თავისი წარმომადგენელი; ამიტომ გამოითქვა სურვილი მომავალ არჩევნებში კანდიდატთა სიაში იქნეს შეტანილი ამხ. თედორე ვასაძე.

რ. ნიგორზღველი.

რკინის გზაზე

კასპი. 40 წელიწადზე მეტია რაც არსებობს რკინის გზის სადგური კასპი. ამ ხანში, რომ არ გავაზვიადოთ, სუყველა სადგურები გადააკეთეს, გაადიდეს და მთელ ლიანდაგზე მარტო კასპის სადგური ღა დარჩა ისევ ისეთ მდგომარეობაში, როგორც 40 წლის წინეთ იყო, როდესაც დღეში 3—4 მგზავრზე მეტი არ მიდიოდა სადგურიდან. კასპის სადგური ემსახურება თითქმის 45 სოფელს და დღეში კასპიდან არა ნაკლებ 100—150 მგზავრი მიდის და მოდის.

სადგურის დარბაზი ისეთი პატარაა, რომ თაგვი კუდს ვერ მოიქნევს. სულ 15 კაცი ვერ დაეტევა, ისიც ფეხზე უნდა იდგნენ. საშინელი სურათი წარმოგიდგებათ, წვიმიან დღეში ან სიცივეში, მეტადრე, როცა მატარებელი იგვიანებს. ეს ამდენი მგზავრები, უცხო სოფლიდან მოსულები, დარბაზში, რომ ვერ ეტევიან, პირდაპირ ძალით შედიან აგენტების სამუშაო ოთახში ბარგით, ბავშვებით, ქათმებით და სხვა. ზოგი ტელეგრაფის მაგიდაზე ზის, კანტორის სამუშაო წიგნები უწყვია, ზოგი ცენტრალიზაციაზე. იმათი ყვირილი, სუნი და სხვა წარმოუდგენელს მდგომარეობაში აყენებს სადგურის მუშა აგენტებს. აგენტებს ვერა უთქვამ რა ხალხისთვის, ყველა იგინებ, აგინებს რკინის გზის მთავრობას. აიღეთ ქსანი, გრაკალი, საცა კასპის მეოთხედი შემოსავალი არ არის, ყველგან დიდი დარბაზებია გამართული. კასპმა რაღა დააშავა! ნუ თუ აქამდე რკინის გზამ ვერ შესძლო სწორედ უბრალო ფიცრის შენობა მაინც გაეკეთებინა, რომ ამოდენა ხალხის წვალება, გინება და ლანძღვა თავიდან აეცდინა! რა გახდა ერთი ხის ოთახის აშენება. ვსთხოვთ ყურადღება მიაქციონ იმათ, ვისზედაც ეს არის დამოკიდებული.

X.

ს.-დ. პარტიაში

ნავთლუღი. 21 ოქტომბერს შესდგა მე 7-დე რაიონულ კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა: თავ კომიტეტიდან მოხსენება გააკეთა ამხ. ლორიამ; ამხ. სარჯველაძე აღნიშნავს, რომ პარტიული მუშაობის შენელება მიეწერება დღევანდელ ეკონომიურ გაჭირვებას, უბინაობას და სხ. მთ. შტაბის კულ. განმ. სექციის დადგენილების თანახმად, რომელსაც გადაუწყვეტია კულტურული მუშაობა აწარმოოს რაიონებთან შეთანხმებით არჩეულ იქნა ორი კაცისაგან შემდგარი კომისია, ორი დამატება შტაბიდან, რომლებიც მოაწყობენ ლექციების საქმეს სისტემატიურად.

მუშათა კლუბის კითხვა მეორეჯერ გადაიდო მომავალ სხდომაზედ, რადგან რკ. გზის ცენტრალურ კომიტეტიდან არ დაესწრენ. დადგენილ იქნა მესამეჯერ მიმართონ ხსენებულ გამგეობას უსათუოდ გამოგზავნოს წარმომადგენელი. დროებითი კლუბის გამგებლობა მიენდო სამ ამხანაგს: სარჯველაძე, მოკრიას და მოსაშვილს მათვე მიენდო მხოლოდ კოლექტივისთვის შეუდგენ დაუყონებლივ პროექტორის გახსნას; რათა კოლექტივს ექნეს საშუალება დაფაროს თავისი ხარჯები.

გადაწყდა გამოყვანილი იქნას კოლექტივში ტელეფონი, რომლის მოგვარება ამხ. ლორიას მიენდო. მომავალ ხუთშაბათს სხდომაზედ მოწვეულ იქნას ყველა ორგანიზაციების წარმომადგენელები საჭირო კითხვებისათვის.

პ. ლეხელი.

ზემოგომი.

ამა წლის ოქტომბრის 1-ლს შესდგა ზემოგომის სათემოს მენშევიკთა ცენტრალური კოლექტივის კრება. კრებას დაესწრნენ: ოჩხეიკებისა და გორის სამაზრო კომიტეტის წარმომადგენლები.

სამაზრო კომიტეტის ყრილობიდან მოხსენება გააკეთა ამხ. მ. მეფარიშვილმა, რომელმაც გააცნო კრებას სამაზრო კომიტეტის მიერ გამომუშავებულ სამუშაო გეგმის მუხლები და მოითხოვა მისი ცხოვრებაში გატარება.

მაზრაში პარტიული მუშაობის მიმდინარეობის შესახებ. მოხსენება გააკეთა სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. დ. მელიქაძემ. მცირე კამათის შემდეგ კრებამ მიიღო შესაფერი რეზოლუცია.

გარდა ამისა ამხ. პ. ლომიძის წინადადებით პარტიულ ბიუროს სასარგებლოთ შემოვიდა შემდეგი ამხანაგებისაგან შეწირულებანი:

ვ. ესვანჯიასგან 500 მან., პ. ლომიძისგან 500 მან., ვ. ნავროზაშვილისგან 500 მან., მ. მეფარიშვილისგან 500 მან., მ. ხითაროვისგან 500 მან., კ. სტრაულისგან 500 მან., გ. კობახიძისგან 500 მან., ა. გალუსტოვისგან 500 მან., ი. ყ[illegible]შვილისგან 500 მან., ა. ხითაროვისგან 500 მან., ი. ნადირაძისგან 500 მან. სულ შემოვიდა 5.500 მან.

პრეზიდიუმი გულითად მადლობას უცხადებს ამხანაგებს, რომლებმაც კეთილ ინებეს და პარტიულ ბიუროს სასარგებლოდ გაიღეს თავიანთი წვლილი.

ხარდალი.

სოფ. ბაკურიანი. 13 ოქტომბერს შესდგა მორიგი კრება ბაკურიანის რაიონის ს. ს. დ. მ. პ. ქვე კოლექტივის ახლათ დაარსებული ქალთა წრისა. დაესწრო 18 წევრი, კრებას თავმჯდომარეობდა ტ. კიკნაძე. მოისმინა რა მოხსენება ქვე კოლექტივის თავმჯდომარის ა. კაპანაძის პარტიის მნიშვნელობაზე და მომენტის შესახებ კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

ჩვენ ბაკურიანის რაიონის ს. ს.-დ. მ. პ. ქვე კოლექტივის ახლათ დაარსებული ქალთა წრე, მივესალმებით ს. ს.-დ. მ. პ. ყველა ორგანიზაციებს და ფიცსა ვდებთ ვიმუშაოთ ზემოხსენებულ ორგანიზაციების პროგრამის განსახორციელებლათ.

თავმჯდომარე ა. კაპანაძე.

მუშათა შორის

ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირში.

7 ოქტომბერს განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირის ბინაზე მოწვეული იყო ყველა იმ საქარხნო კომიტეტების კონფერენცია, რომელნიც იმყოფებიან სამხედრო უწყების განკარგულებაში და შედიან ლითონზე მომუშავეთა კავშირში. კონფერენციას დაესწრენ 11 დაწესებულების საქარხნო კომიტეტების წარმომადგენლები, რიცხვით 34 კაცი. კონფერენციას ხსნის კავშირის თავმჯდომარე ლ. მამალაძე, მდივნობს ბ. ნაცვალაძე. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) დასაშვებია თუ არა, რომ პროფ. ორგანიზაციამ იმოქმედოს სურსათ-სანოვაგის შეძენაზე; 2) სურსათ-სანოვაგის შეძენაზე მატერიალური საშუალების გამოძებნის შესახებ; 3) სასურსათო კომისიაში დამატებითი წევრების არჩევა.

დიდი კამათის შემდეგ კონფერენციამ ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: 1) კონფერენცია, იღებს რა მხედველობაში ფრიად მწვავე ეკონომიურ კრიზისს, რომელიც მძიმეთ აწვება მუშათა კლასს და კერძოთ კავშირის წევრებს, რის გამო სათითაოთ მათ უძნელდებათ თავის პირველ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ სურსათის შეძენა, როგორიც არის კარტოფილი, ლობიო, შეშა, პური და სხვა, ამიტომ კონფერენცია ავალებს კავშირს, რათა მან ამ მხრივ მიიღოს ყოველივე ზომები და იმოქმედოს ენერგიულათ; 2) კონფერენცია, იღებს რა მხედველობაში, რომ ზემოთ აღნიშნული პირველ მოთხოვნილების სურსათის შესაძენათ საჭიროა დაახლოვებით 10,000 000 მანეთი და კავშირს კი ამდენი თანხა არ მოეპოება, ადგენს: ეთხოვოს სამხედრო სამინისტროს სამნეო კომიტეტის თავმჯდომარეს, რათა მან აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ მიეცეს კავშირს სესხათ ზემო აღნიშნული რაოდენობა ფულისა; 3) რომ ზემოთ აღნიშნული დადგენილება ხორც შესხმული შეიქნეს, კონფერენცია ირჩევს სასურსათო კომისიას, რომელშიაც შედიან: ო. ლაცაბიძე, ლ. მამალაძე, შუბაშვილი, გიორგი ახალბედაშვილი, ნ. მეძმარიაშვილი და კირვალიშვილი.

კონფერენციის დადგენილების შემდეგ განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირის გამგეობამ შემდეგი თხოვნით მიმართა სამხედრო სამინისტროს სამნეო კომიტეტის თავმჯდომარეს:

განახლებულ ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის საქარხნო კომიტეტების კონფერენციამ, მოისმინა რა მოხსენებები კონფერენციის წევრებისა იმ აუტანელ მდგომარეობის შესახებ, რომელნიც განიცდიან კავშირის წევრნი პირველ საჭიროების მოთხოვნილების საგნების უქონლობის გამო,—დაადგინა: ვინაიდან არავითარი ჯამაგირების მომატება არ აკმაყოფილებს პირველ საჭიროების მოთხოვნილებებს და რესპუბლიკის სამხედრო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებიან,—ეთხოვოს იქნეს, შუამდგომლობა თქვენს მიერ მთავრობის წინაშე, რათა მიეცეს ლითონზე მომუშავეთა კავშირს სესხათ ათი მილიონი მანეთი. ამასთანავე გირდგენთ სამხედრო დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა სიას, რომელნიც იმყოფებიან კავშირის წევრათ მათი თვიური ჯამაგირების საერთო რაოდენობის აღნიშვნით, რაც გამოიხატება 8.855 244 მანეთში.

მამალაძე.

ფოთი. 20 სექტემბერს მოხდა ფოთის გადამტვირთველ მუშათა პროფესიონალური კავშირის საკულტურო კომისიის სხდომა. დაესწრენ წევრები: ს. გოგიბერიძე, პ. სეფერთელაძე, ს. მამალაძე, გრ. თოფურია და წულაია, თავმჯდომარე—ამხ. რ. ქორქია. კომისიამ იქონია მსჯელობა საკულტურო საგანმანათლებლო საკითხების შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კომისიამ დაადგინა:

1) ლექტორებათ მოწვეულ იქნან ამხანაგები: გ. ჩიტაია, მ. კინწურაიშვილი, მარგარიტა ქადეიშვილი, არ. სამსონაძე და რ. ქორქია.

2) სისტემატიური მეცადინეობა დაიწყება 21 ამ თვიდან. პირველ რეფერატს წაიკითხავს ამხ. რ. ქორქია შემდეგ თემაზე: „მუშათა კლასი და კულტურა". მეცადინეობა იქნება კვირაში ორხელ.

3) ფოთის დრამატიულ საზოგადოებას მიეცეს ყოველ-თვიურათ ათი ათასი მანეთი დახმარება, ხოლო ამისთვის მიეცეს წინადადება დრამატიულ საზოგადოებას თვეში ერთი ან ორი პიესა დადვას მუშათა ცხოვრებიდან.

4) დრამატიული დასის გამგეობაში შევიდეს ერთი მუშათა წარმომადგენელი.

ამასთანავე კომისიამ დაადგინა: ეთხოვოს ფოთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს დაუთმოს გადამტვირთველ მუშათა კავშირის საკულტურო კომისიას ერთი დარბაზი მუშათა სასახლეში, რომელიც იმყოფება რუსთაველის ქუჩაზე. აქ კომისია გახსნის თავის წევრებისთვის კლუბს.

ლიდიანი.

გურიის პროფესიონალურ კავშირებში.

13 ოქტომბერს შესდგა გურიის პროფ. კავშირთა საბჭოს არაჩვეულებრივი სხდომა. დღის წესრიგში იყო: მოხსენება მუშათა კოოპერატივის წესდების შესახებ. მოხსენება გააკეთა მუშათა კოოპერატივის წესდების შესახებ ინსტრუქტორმა ალ. ერქომაიშვილმა, რის შემდეგ გაიმართა კამათი.

ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: 1) მუშათა კოოპერატივში, რომელიც თანახმათ საბჭოს 13 სექ. სხდომის დადგენილებისა უნდა დაარსდეს ოზურგეთში, ვალდებული არიან ჩაეწერონ პროფესიონალურ კავშირთა ყველა წევრები, ხოლო მათ გარდა წევრობის უფლება აქვს ყველა დაქირავებულთ, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ პროფესიონალურ კავშირის წევრებად.

საბჭოს მდივანი **ალ. მენაბდე.**

პროვინცია

ზუგდიდი. ხსენებულ მაზრის სამაზრო ერობამ ქვემორე მოყვანილი მოხსენება წარუდგინა დამფ. კრ. თვითმართველობის კომისიას, დამფუძნებელ კრების სოც.-დემ. ფრაქციას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ერობათა კავშირის კომიტეტს და დამფ. კრ. წევრს ჩიქავას:

„ზუგდიდის სამაზრო ერობის გამგეობის ცნობამდე მოაღწია, რომ თვითმართველობის კომისიის მიერ შემუშავებულია პროექტი ზუგდიდის მაზრის გადამიჯვნის სენაკის მაზრის მხრით. ამ პროექტის თანახმად ზუგდიდისა და სენაკის მაზრების საღვრად განზრახულია მდინარე ხობი, ზანაშკა და მდინარე ხობის და ტეხურის წყალ გამყოფი ხაზი.

თუ ზუგდიდის სამაზრო ერობის ეს ცნობა სიმართლეს შეეფერება,—იმ შემთხვევაში ზუგდიდის მაზრას ჩამოეჭრება:

1) ქარიატის თემის, 2) შუა-ხორგის 3) ხორგის, 4) ნოჯიხევის 5) ზანის, 6) საჯიჯაოს, 7) ლესიჭინეს, 8) ახუთის ნაწილები, 9) ხორშის და 10 ქვალონის თემები მთლად.

ერობის გამგეობამ ეს ცნობა მიაწოდა სამაზრო ხმოსანთა ყრილობის მეორე სესიას, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის წარსული სექტემბრის 26. ყრილობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ მაზრის გადამიჯვნა მაზრის თვითმართველობის აზრის მოუსმენლად არ იქნება მიზანშეწონილი და დაადგინა ეთხოვოს თვითმართველობის კომისიას სამაზრო ერობის დაუკითხავად პროექტი არ შეიტანოს დამფუძნებელ კრებაში.

ხმოსანთა ყრილობის დადგენილების აღსასრულებლად ზუგდიდის სამაზრო ერობის გამგეობას აქვს პატივი მოახსენოს, რომ აღნიშნული პროექტი გადამიჯვნისა არ არის მისაღები ქვემოდ მოყვანილ მოსაზრებათა ძალით:

1. ამ პროექტით ზუგდიდის მაზრის ზემო ჩამოთვლილი თემები ნაწილდებიან იმნაირათ, რომ შეუძლებელი ხდება ზუგდიდის მაზრის ფარგლებში დარჩენილ ნაწილებში თვითმართველობის ორგანიზაციის და მართველობის მოწყობა მოწესრიგება, მაგალითად ქარიატის, ხორგის და შუა-ხორგის თემები მდებარეობენ მდინარე ხობის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე, ამ მდინარის გაყოლებაზე ჩვიდმეტი ვერსის სიგრძეზე, რომლებსაც განით ერთი ვერსიდან ორი ვერსამდე სივრცე აქვთ. გადამიჯვნის შემდეგ თითეულ ნაწილში ამ თემებისა იქნება მხოლოდ 120—200 კომლამდე. მათი ტერიტორიის მდებარეობის მიხედვით ამ ნაწილების შევსება სხვა თემებიდან ან გაერთიანება შეუძლებელი იქნება და მათგან თემი არ მოეწყობა. ამგვარად დარჩენილ ნაწილებს არ შეეძლება არც ეკონომიური და არც კულტურულ მოვალეობათა გაძღოლა; მაგალითად, ზანის თემიდან ზუგდიდის მაზრაში პროექტის ძალით უნდა დარჩეს 122 კომლი მხოლოდ. ამ ნაწილს ცალკე ცხოვრება არ შეუძლია, ხოლო მისი მიწერა უახლოეს თემზე, მაგალითად ახალ ხიბულაზე შეუძლებელია, ვინაიდან მათ შორის მანძილი არის 9—12 ვერსი. ასეთ მდგომარეობაში ვარდებიან დანარჩენი თემებიც.

2. თემების განაწილების დროს უნდა მოხდეს განაწილება თემის მიერ შექმნილ კულტურულ და ეკონომიურ ღირებულებათა: ამ განაწილების დროს მოსალოდნელია უთანხმოება ნაწილებს შორის და დაუსრულებელი დავა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

3. ხსენებული თემები უკვე მოექცნენ სამაზრო ერობის მუშაობის ქსელში. ამ თემებს აქვს სათანადო ცენტრი, როგორც ადმინისტრატიული, აგრეთვე კულტურული, მაგალითად, ხობში ჩამოთვლილ თემებისათვის გახსნილია საერობო საავადმყოფო, უწნის სასამართლო, რაიონის მილიციის კომისრის პუნქტი, აგრონომიული დახმარების პუნქტი, სავეტერინარო პუნქტი, აგრეთვე პირველ-დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლები რამდენსამე მთავარ ადგილას. თუ გადამიჯვნა მოხდა, სამაზრო ერობას მოუხდება მთელი მაზრისათვის ახალი ქსელის შემუშავება, ახალი პუნქტების გამონახვა და ცენტრების შექმნა. ეს კი გამოიწვევს არევ-დარევას და მაზრას ამოაგდებს თავის ნორმალურ კალაპოტიდან. ზემოხსენებული პროექტის განხორციელება კულტურულად ჩამოაქვეითებს მთელს ზუგდიდის მაზრას, რადგანაც ის რაიონი, რომელსაც მოელის გაყოფვა, ითვლება დაწინაურებულ რაიონად ზუგდიდის მაზრაში და პოლიტიკურ კულტურული ტონის მიმცემია უფრო ჩამორჩენილ რაიონებისათვის. ეს გარემოება უკიდურესად დააბრკოლებს სამაზრო ერობის საქმიანობას ისეთ მაზრაში, რომელიც ერთის მხრით ეკვრება სვანეთს და მეორეს მხრით სამურზაყანოს.

5. თვით ზემოდ ხსენებულ თემებს არ უნდათ ზუგდიდის მაზრიდან სენაკზე მიწერა და ერობის გამგეობის წინაშე შუამდგომლობენ, რათა არ მოხდეს ეს გადამიჯვნა. თემების საბჭოების სათანადო დადგენილება ამასთანავე არის დართული.

მოგახსენებთ რა ამას, ზუგდიდის სამაზრო ერობის გამგეობა თანახმად ხმოსანთა ყრილობის დადგენილებისა უმორჩილესად გთხოვთ ზუგდიდის მაზრა დარჩეს ძველს ადმინისტრატიულ და გეოგრაფიულ საზღვრებში.

ამას თანდართული აქვს ოქმები შემდეგ თემების საბჭოების: 1) ქარიატის, 2) ზანის, 3) ნოჯიხევის, 4) შუა-ხორგის, 5) ხორშის, 6) საჯიჯაოს, დანარჩენი სამის ოქმები დამატებით გადმოგეგზავნებათ.

გამგეობის თავმჯდ. ლეო შენგელაია.

წერილი რედ. მიმართ

ბ. ჯიხველის პირადს.

თქვენს წერილში („ერთობა" № 241) ზოგიერთ პირების შექების შემდეგ, ამბობთ რა სადარაჯო ათასეულში თავის დროზე გაზეთების მიუღებლობის შესახებ, თანაც აღნიშნავთ, რომ „ერთობა" მთელი კვირის განმავლობაში არ რიგდება და თუ გამოჩნდება კვირაში ერთხელ, იმასაც ვერავინ კითხულობს, ვინაიდან იმწამსვე იკარგება".

ამის შესახებ სამხედრო სამინისტროს კულტურა განათლების სექციამ სათანადო სწრაფი განკარგულება მოახდინა აღნიშნულ დაუდევრობის გამოსარკვევათ სადარაჯო ათასეულის კულტურულ მუშაობის დარგში და თანაც დავსძენთ, რომ სექციაში არსებულ წიგნაკში სათანადო ხელმოწერით სადარ. ათასეულს ყოველ დღე ეგზავნება 7 ცალი „ერთობა", 7 ც. „სახალხო საქმე", 7 ც. „საქართველო" და 24 ც. ჟურ. „მხედარი".

სამხ. სამ. კულტ. განათლების სექციის გამგე—უფროსი პოლკოვნიკი **დ. ქარცივაძე.**

რედაქტორი **ლევან ნათაძე**

განცხადებანი

სპეციალისტი მასწავლებლები
ამზადებენ ქართულ და რუსულ საშვალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს.
(3108—1—1)

ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს
მათემატიკაში
ბავშვებს და მოზრდილთ ვამზადებ
მე 2, 3, 4, 5, 6 კლასის
მოწმობის მისაღებად და ყველა სასწავლებელში შესასვლელად ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25, (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან 5) ი. მ. მაჩაიძის ბინა.
(3333 10—0)

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი. ვაქცინოტერაპია, სეროტერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10.
(22—ნოემ.)

კერძო სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. გ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914". ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4-8 ს. ფასი 100 მ. უსახსროთათვის უფასოდ 12—2 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირქის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87.
(1-ნოემ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიას ქ. № 13. ტელეფ. 9—31.
(21—ნოემ.)

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55.
(18—ნოემ.)

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (იბ[illegible] ტელეფონი 7—38
(16—ნოემ.)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ.
(21 ნოემ.)

ექიმი
ბ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

ექიმი **შ. ა. [illegible]**
სპეციალურად სიფილისი [illegible] დები (შეშხაპუნება „606" [illegible]) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და [illegible] საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი [illegible] ქ. № 32. (21 ნოე.)

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13.
(24—ოქტ.)

პ. ბ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.
(7 ნოემ.)

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს.
(30—ოქტ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91
(1—ნოე.)

ექიმი
დავით ლუკას ძე
კილურაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120.
(15 ნოემ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლეს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 ს საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. 5—ნოე)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
7—ნოემ.

ექიმი
ე. ი. პალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობის დილის 8—12 საათამდე, ვენერიულის, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, [illegible] დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95.
(1—ნოემ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის 10 1/2—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42
(23—ოქტ.)

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს: საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილისი (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 1/2 საათ. მიხეილის საავადმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1 (16 ნოემ.)

„ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი"
რომელიც იღებს ყოველგვარ საკერავს და ასწავლის
ჭრა-კერვას
ქარგვას და სხვა და სხვა ხელსაქმეებს ხელმისაწვდომ ფასებში. აგრძელებს მოწაფეების მიღებას. მისამართი—ვერის დაღმართი № 3, ბინა 9.
(3339 5—4)

ვ ე ძ ე ბ თ
მადნებს და ჩანაწილებას (залежи)
ვსთხოვთ ვისაც აქვს მოგვაწოდოს ნიმუშები შემდეგი მისამართით: ქუთაისი, გენერალური ქ. სულავას სახლი, მიროვიჩს ექსპერტიზა უფასოა.
(3132—2—[illegible])

[illegible] სტამბა [illegible] ქუჩა №4.